



თებერვალი 1902

ულრნალ „ჯეჯილისა“

83

I	ირემი და კუ — აღ.	მიწანაშვილისა	3
II	დათვი და მონადირე		4
III	ბატები ლექსი — დუტუ შეგრძელისა		7
IV	ბაყაყი და ვირთავე — კლდისა		9
V	მელის თავ-გადასაეალი, ზღაპარი (გაკრძელება) — აღ.	ნა- თაძისა	11
VI	კატის და არწივის ბრძოლა		23
VII	ქარქვეტა (ლეგენდა) — ქართველი ლეპაშა		25
VIII	ფაეტონი (ოვიდიუსიდან) — ა. უუმისთავედისა		28
IX	ლედი ჯენ, მოთხრობა, გაკრძელება — ეღ.	წერეთლი	
	სა		33
X	კრავი (კრილოვის იგავ არაკებილან) — ავაგისა		46
XI	მზე და მისი მნიშვნელობა დედამიწისათვას — ი. გომართ- ლისა		49
XII	ნაკლოოზ ეასილის-ძე გოვოლი — ა მითაშვილისა		56
XIII	ვინ დაარსა ქალაქი თბილისი და რათ დაურქმევით „თბი- ლისი“ — ვასა მოვარედიშვილისა		60
XIV	წერილმანი: საჩუქრის მისალები კითხვა, გამოცანები, ან- დაზა, აკროსტიხი, სატურების ამოცანა, შარადა, ამოცა- ნა და რებუსი		61

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის სა-
ქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თვილისის სა-
ეპარქია რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-
წყვიტა ქართველი საყმაწვილო ულრნალი „ჯეჯილი“
საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-
ბულ იქმნას სახმარებლათ.



„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თევში ერთხელ იმავე პროგრამით, რომ-
რათაც აქამდის.

ქურთალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ მიღებულია თეილისის საეპარქიო და
კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სა-
მკითხველოებში საკითხავათ.

ქურთალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ თეილისში დატარებით ღირს 4 მან. თეი-
ლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევაზ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კ-თხეის გამ. საზოგა-
დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д.
Груз. Двор., № 101), და თერთ „ჯ ე ჯ ი-
ლი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5,
возлѣ Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: Всѣ Тифлис, въ редакцію грузинскаго дѣтс-
каго журнала „Джеджили“.

მარიამებრ
გორგავას



ს ი ჭ ა ნ ა ზ ი ლ ი 6 1 6 1 3 6 0 1 6 0

კურნალი

იზარდე, მწვანე ქავილო
დაპურდი, გახდი უნაო!..

ი. ჩ.

№ II

დ ა ლ ი ჭ ა ზ ი 6 1 6 1 3 6 0 1 6 0



ტ ფ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ა ბ. მ. რ ი ტ ი ნ ა ნ ც ი ს, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1902



Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Января 1902 г.

ԱՐԵԱՆ ԸՆ ՔՆ.

୧୮୨୦



3 უმ უთხრა ირემს:

— ჩემი თავისა კველაფრით კმატო-
ფილი ვარ, ჩემ გამჩენელ ღმერთს კვე-
ლა კა თვისებებით უხვათ შევუძღვარ;
მსოლოთ ერთი რამ მაწუხებს: შენსავით
სირბილი არ შეგიძლია. მოდი, სიკუ-
თე მიეგვ, რაც გინდა გადამახდევინე
კლეი.

— მეორბორთ, დაცინვით მიუგო ირემა: — ლმერთს მადლობა შესწირე, რომ სირბილი არ იცი, თორებ, როგორც გხედავ, მაგ მშენიერ თვისებებთან, სირბილი რომ იცოდე, უმშევლათ კლდეზე გადაჭარდებით.

ალ. მირიანა შვილი.

დათვი და მონაღირე.



ირინეის მთებში*) ცხოვრობდა ერთი მონადირე, ომელიც დანელოვნებული იყო დათვების დაწერაში: ორმოებს ამოთხრიდა ხოლმე, მერე სემოდან მოაფენდა სის ტოტებს და ზედ კიდევ მიწას წაურიდა, რომ დათვი უურო კარგათ მოტუუბულიყო. ერთხელ გაუფრთხილებლობით თვითონ მონადირე ჩავარდა ორმოში და კერასგზით თავი კერ დასხრდა. პატარა სანს შეძებ უცბათ ამავე ორმოში დათვიც ჩავარდა.

წარმოიდგინეთ უბედურ კაცს რა თავზარი დაეცემოდა? შემინებულმა მონადირემ განიზრახა მსეუის მოკვლა, მაგრამ დათვიც კაცს თვალს ადგვნებდა და რომ დაინახა დამიზნებული თოვე ისე საშინლათ დაიღრიალა, რომ მონადირემ კერ

*) ეს მთები საფრანგეთ და ისპანიის სამზღვრებზეა.

გაბედა თოვის დაცლა. რამდენსამე წამს კაციც და ნადირიც
ერთმანეთს თვალს არ აშორებდენ; ბოლოს მონადირეს ეკო-
ნა, რომ მტერს ეჭვი გაუქარწელდა, დამშვიდებო და ხელ-
მეორეთ თოვი დაუმიზნა. მაგრამ დათვმა კიდევ დაიღ-
რიალა და ისე სასტიკათ შეხედა, რომ მონადირეს შიშით
ხელიდან თოვი გაგარდა.



გაკიდა რამდენიმე საათი. დათვს კაცზე ნაკლებათ არ
უნდოდა თავის განთავისუფლება! ბოლოს თითქოს რაღაც
მოიფიქრა: უკანა ფეხებზე დადგა და წინა ფეხები ორმოს
კედელს მიაბჯინა, თითქოს მისი ზურგი კიბე არისო. ეს



რამდენჯერმე გაიმეორა და თან მონადირეს უცქერდა, თთ-ქოს ეუბნებოდა: მოიხმარე ეს ჩემი ბეჭები კიბეთ და თავი გაინთავისუფლეთ.

ბოლოს მონადირემ გაბედა და დათვის ბეჭებზე აცოცდა. შეცი დინჯათ იდგა და უცქეროდა როგორ ითავისუფლებდა კაცი თავს.

როგორც-კი მონადირე ზემოთ ამოვიდა, ასელა იმან დაიწეო იმაზე ფიქრი, თუ როგორ უშველოს თავის უბედურებაში ნაძოვნ მეგობარს. კაცს დაავიწედა რომ დავლა სელში აქვს. ის კრძნობდა მხოლოთ რომ დათვისაგან დავალებული იყო. მაშინვე მახლობელ სოფელში გაიქცა, იქიდან გრძელი კიბე მოიტანა, ორმოში ჩაუშვა და თვითონ-კი მოჰქურცხლა.

მეორე დღეს მონადირემ ჩაიხედა ორმოში და ის ცარიელი დაუხვდა, დათვი განთავისუფლებულიყო.

ამ ამბავს შემდეგ მონადირემ ვეღარ შეძლო დათვების მოგელა, ვეღარც ნადირობა და სხვა სელობას დაადგა.





გ ა ტ ე ბ ი.

Гელის პირათ მთვლექ, დადინჯებულო,
 დასაკლავათ გასუქებულო,
 ბატო ჟეირილი მორთეს უცებ,
 ცისქენ კისრებ წაგრძელებულო;
 თან გარბიან და ფრთებს შლიან,
 გასაფრენათ იწევიან,
 მაგრამ ვაი, რომ სიმმიმეს
 თავისას გერ ერევიან!

ეოველ ღონეს თუმც ხმარობენ,
 ბობოქრობენ, ხმაურობენ,
 მაინც არა გამოდის-რა,
 მიწაზედვე ფართხუნობენ.

იქ-კი, მაღლა, ცის სივრცეში,
 გარეული ბატებისა
 გუნდი მოჩანს, თუმც გამსდორების,
 მაგრამ თავისუფლებისა,
 და მათი სმა სძეეს ჭარში,



თთქო სარის წერიალია,
თუმცა კვნესა — გმინვასა ჭიანს,
მაგრამ თავისუფალია!...

ესენიცა მისთვის შეოთვები
და ევირილით აურებენ
მთელ ქვეყანას, რომ შორს, ცაში,
მიმურინავ გუნდს უურებენ.

შერი ისმის ამ ევირილში:
მათ შერთ გარეულებისა
მშების ბედი, თუმც მშიურების,
მაგრამ თავისუფლებისა!...

ღუტუ მეგრელი.



გაჟაურ და ვირთაგვა.



რთი კარგა ჩასუქებული ვირთაგვა,
ზაფხულის დღეში, ერთხელ, ჭიათურაში
პირათ დასეირნობდა. ბაჟაურა თვა-
ლი მოჟკრა, შამბიდან გამოჟკრა, რამ-
დენიმე სკუნა ჭიმნა და, რა მიუიდა,
ჭითსა: — სად მიბრძანდებიო. «არსათ,
ჩემთვის დავსეირნობო», მიუგო ვირ-
თაგვამ.

ბაჟაურა უთხრა: — თუ ბერეა, დღეს
სადიღათ ჩემი სტუმარი ბრძანდებო-
დე, ძლიერ გადება. შორს არ გახლავარ, აგერ იმ პატარა
ჭილაქში ვცხოვოთ. ჩემ სახლობას გაგაცნობ და კარგათ
მოგილხენ. გრძელი კიდე ბევრ რამდე ასელს ნახავ თვალისა
და გულის გასარიობს. მაში წავიდეთ, იცოდე, ჩემნისა მო-
სვლას არ ინახებო.

კარგმა სადიღმა მსუნავ ვირთაგვას სტუმრობის სა-
დერდელი აუმაღლა. ცოტის დაუიქრდა და ბაჟაურს შოასხენა:
— «სულით და გულით გმაღლობ, ჩემო კეთილო. გიახლებო-
დი, ხელს რომ არ მიშლიდეს ერთი რამე: ვერა გარ კარგი
მცურავი. შენა ბრძანდები წეალ-მიწიერი და ცურვა გემარჯ-



ვება, ჩემი საქმე სულ სხვაა. რა ვქნათ?» ბაჟაუმა უთხრა:

— ადვილი გასაბედავია, ფეხზე ბალახით გამოვიბამ და სახლამდე ისე მიგაცურებ. რას იტევით? ვირთავგამ უთხრა:

— «სწორეთ ჩინებული სერიათ და ცურვას შეუდგენ. ერთი მეორეს მიაცურებდა.

მგზავრობა პირველ სანათ კარგი ჰქონდათ და ვირთავაც კარგი საღილის იმედით არსებინათ მიცურავდა, მაგრამ ბაჟაუმა უეცრათ ჩაიურუებელავა და თავისი სტუმარი თან ჩაიტანა. თურმე მის დარჩობას ლამობდა, სურდა თავის პატარა შვილებისთვის საღილათ ეჭმია. საბრალო ვირთავა, რომელიც მოყეთისაგან დალატს არ მოელოდა, ერთ წუთას წეალმა დასძირა; მერე მოიტივტივა და თავგამოდებით სიცოცხლისთვის მებრძოლი აუკედრიდა ბაჟაუს, გულფიცხი და გაუტანელი სარო. მაგრამ ბაჟაურ ურს იურუებდა და დრმა ადგილისკენ მიათრევდა: ვირთავა თავსა შეელოდა, მაგრამ მალ-ღონე თან-და-თან ელეოდა.

მათი ბრძოლა თურმე არწივს დაენახა. საწეალ ვირთავას თავს დაემგერა, საშინელი ჭანგები გაუერა და თავისი ბუდისკენ გააქანა. რაკი ვირთავგას ბაჟაურ ფეხში გამობული ჰქავდა, ისიც თან გაჭერა და ბედის მონაწილე გაუქდა. არწივმა ორივე ვასმებათ აქამა თავის ბარტექებსა და ფასათ დაუსვა ერთს მსუნავობა, ხოლო მეორეს დალატობა.

(ფრანგულიდან გადმოლებული)

კლდია.

მელის თავ-კადასავალი.

(ზ ღ ა პ ა რ ი)

თავი II



ვენი დათუნია ამაფათ გაუდგა გზას; გა-
დალახა ტუქ, მთა და ხევები. აი, მთის
ძირში, ადამიანის მოშორებით, გამოჩნდა
შესანიშნავი სასახლე მელიასი. სხვაგანაც ბევრგან აქვს ეშ-
ძაკ მელიას მიწაში მომზადებული ოთახები, დერუფანი, მაგ-
რამ ამ მთის ძირში უფრო უძირათ იმუოფება, რადგანაც
გამოსასვლელი და შესასვლელი სეების ფესვებით არის და-
ფარული. ჭუჭრუტანიდან მელა უკელასა ჭედავს და თვი-
თონ აქა-კი ვერავინ! ოთახებს სისუფთავე და რიგიანობა
ეტეობა. სკამებზე დალაგებული აქვს ქათმები, იხვები, ბა-
ტები და სხვა-და-სხვა ნანადირევი. ზამთრობით გარეწარი
სანოვაგეს საკუპნაოში თოვლ ქვეშ ინახავს, საფხულობით
კი ამისთვის სარდაფი აქვს მომზადებული. ნელი ნაბიჯით
ბოჭვერა მიადგა მელიას, მაგრამ კარები მაგრათ ჩაჟეტილი



ჩავს და. გაჩერდა ცოტა ხანს, მოიფიქრა, მოისაზობ და კულტურული დაუფხავება თავისი ტორიანი თათვებით:

— ეი, ნათლია ჩემო, გამიღე კარები. შენზე განრის-სებული მეფისაგან თვით მე ვარ გამოგზავნილი შეკრიცათ. დიდებული ლომი გიბრძანებს ახლავე გამომევე მე სასახლეში. იქ უნდა წარუდგე სასამართლოს და პასუხი აკო უკალა შენს გარეწოდაზე. ახლავ მოემზადე და გამომევე, თორებ წინააღმდეგ შემთხვევაშა მენ სიკვდილს ვერ გადაწები. აბა, ჩეარა, ნუღარ იგვიანებ, თორებ დიდი სასჯელი მოგელის. მელია წამოწოლილი ბრძანდებოდა თავის სასახლეში და უკელაფერი ესმოდა და თან ოცნებობდა:

«მგონი რომ გადავუში ამ სულელს ამისთანა თავხე-დურ და ამაյ ლაპარაკსა, მოდი კერ ერთი კარგათ მოვი-ფიქრო» სთქა მელიამ. ადგა და წავიდა სხვა თასების დასათვალიერებლათ.

ძალიან გონივრულათ არის აშენებული მელიას სასახლე! უკელგან კარები და საკუჭნაოები, სხვა-და-სხვა შესა-სკლელები ზოგან ურმლათ და ზოგან ვიწროთ იუო მოწყობალი. როდესაც მელია რაიმე სახიფათოსა ჟერდავდა თავისითვის და თავისი სახლობისთვის, იგი ერთ-ერთ სამა-ლაში შეჭეოვდა თავს. ამ სამალავშიაც-კი ეს გარეწარი რომელიმე პატარა მხეცს წააწედებოდა ხოლმე. ბედი უო-კელთვის სწალობდა ამ შეჩვენებულს, უოკელთვის ბედი-ერთ გრძნობდა თავს ეს აკაზაკი.

როდესაც ბოსკერა გაჩუქრა, მელიამ იფიქრა: უკურნები
ერთი გავიგებ მარტოქა მობრძანებულა ეს ბრიუვი, თუ სხვაც
მოჰქოლია ვინმეო?» აათვალისწილებული იქ შეიხედა, აქ
გამოიხედა და დარწმუნდა კუდა-მელა, რომ ბოსკერა მარტო
მობრძანებულიყო. გამომვრა იგი ჭიშკართან და კუდის ქნე-
ვით, ნაზათ თხოვა დათუნას:

— მობრძანდით, მობრძანდით, ნათლიმამ! უკაცრავათ
ვარ თქვენთან, რომ ამდენ სანს გაცდევინე. აქამდის თავი
მაღლა არ ამიღია, მთელი დღე ლოცვაში გავატარე. ოჯ,
რა დიდათა ვარ მოსარული, რომ თვით თქვენ ინებეთ აქ
მობრძანება. ჩემი გაჭირების ტალ-კვესი მუდამ თქვენა ბრძა-
ნებულსართ და ახლაც მე თქვენი დიდი იმედი მაქვს, რო-
დესაც დიდებულ მევე — ლომთან წარვდგები. მობრძანდით
გენაცვალეთ, მობრძანდით და აქ ისე გეგულებოდეთ თქვე-
ნი თავი, როგორც საკუთარ სახლში! ოჯ, ღმერთო ჩემო,
რა უსამართლობაა, რომ ამისთანა სიცხე-პარანაქებაში და
ასე შორს გაგიმეტეს თქვენ და გაძოგ ზავნეს. უიმე, გენაც-
ვათ, რანაირათ გაოვლინებულსართ! ვარ ჩემს თავს — სუნ-
თქვაც-კი გემნელებათ... მიკვირს ღმერთმანი, ნუთუ ლომს
სხვა ადარავინ ჟეავდა, რომ თქვენ, სასახლის სიამაუე და
დამშვენება, ამისთანა დიდებული გაჟაცი არ გამოეგ ზავნა
ჩემთან! თითქო ჩემთან უბრალო ბიჭის გამოვ ზავნა არ შე-
ქმლო. ჩემთვის-კი, რასაჟვირეველია, სასიამოვნო და გასასა-
რელია თქვენისთანა შესანიშნავი შეკრივის ნახვა, ერთ-ორიოდ



სიტუაციას მაინც დაჭირვავთ მეოუესთან ჩემ სასარგებლობით. თუმცა-კი მე შეუძლოთა ვარ, მაგრამ ხვალ როგორმე უნდა წამოვმებ. ისედაც დიდი ხანია მინდოდა სასახლეში გამოცხადება. ღლეს-კი მალიან სუსტათა ვარ, ტანში მთლათ მოშლილი. გუშინ-წინ ერთი რადაც საჭმელი გიახელით, და ასლა როგორდაც მუცელსა მჩხვლეტს.

— და განა ისეთი რა საჭმელი იუო, წაიბუტბუტა ბოხვერამ.

— ისეთი არაფერი, ჩემო მერიფასო, უასუხა კურამ. — ასლა ხომ მე მალიან ცოტას გიახლებით, ვმარწეულობ, ვითმენ, რადგანაც მინდა რომ «მოთმინებითა ჩემითა მოვინოვო სული ჩემი». თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ მე ერთი სელ-მოკლე კაცი ვარ, ჩამომავლობით მცირე და უკეთესი საჭმლის უქონლობისა ვამო, რომ შიმშილით სული არ გავანთხიო, უცეცხლო თაფლს გიახლები ხოლმე. სხვას ვერაფერსა ვშოულობ და ეს-კი მალიან ბევრია ჩვენ არე-მარეში. იმას მოგახსენებით — ვტამე-მეტეი და ტანში ასე საძაგლათ მოვიძალე, ან რა სისაღეს უნდა მოველოდე, როდესაც სხვას ვერაფერს ვშოულობ და ამას მალა-უნებურათ ვტამ. მქონდეს სხვა საჭმელი! — ამ სავერანოში გროშკაცებსაც არ გავიძეტებიდ.

— ვაი, ვაი, რაებსა ლაპარაკობ! განა შეიძლება ასე ურიგოთ ლაპარაკო? წაიბუტბუტა დათუნიამ. განა, შენ გემო გქონია? უცეცხლო თაფლი, შენ იცი რა საჭმელია?

უნდა მოგახსენოთ, რომ თაფლისთანა კარგი საჭმელსაჭმელი ანაზე არ მოიძოება. თუ, რომ იცოდე რანაირათ მიუვარს უცეცხლო თაფლი! მოდი, მეცი პატივი და მიშოვნე სადმე თაფლი. ამ პატივისცემას, ხომ იცი, გადაგიხდი და არც ზარალში იქნები.

— თქვენ მგონი მასხარათ მიგდებთ! გაეგირებით თქვა ქულიაძ.

— რას ბრძანებთ, მიუგო ბოხვერამ. რომელსაც უცეცხლო თაფლის მოგონებით ნერწევი მოსდიოდა პირში და მეტის ღელვისაგან მის სმას მალა აღიებოდა.—მე გულით გთხოვ და ხომ იცი...

— თუ თქვენ მართალს ბრძანებთ, მე დიდის სიამოვნებით შევასრულებ თქვენ სურვილს, მიუგო ეშმაკმა ქულიაძ. აი მთის იქით ერთი გლეხი დგას, იქნება გაგიგონიათ კიდევ, თომა ჭერა და იმას აუარებელი ჯუტებრი ჭევას. ისეთ თაფლს ამჟადებს, ისეთს, რომ იძგვარს კაცი ვერსად შეჭრვდება.

— აბა, აბა ჩქარა, წამიუვანე იქ, სისხარულით წამოიძახა ბოხვერამ და თვალები აღტაცებით გადაატრიალა!— ერთი მაჩვენე რა თაფლია და შენ პატივისცემას გადაგიხდი. მე ბევრი-კი არ მინდა, ცოტა მინდა პირი ჩაფიტერიელო.

— აბა, წავიდეთ, უთხრა გარეწარმა.—თუმცა დღეს მე სუსტათ გახლავარ, მაგრამ თქვენი შეგობრობა მალას მი-



მატებს. რას არ გავაკეთებ თქვენთვის, რომ შეიძლოთ
წყალში ჩავარდიო, იქცე-კი ჩავარდები და ამ უბრალო საქ-
მეზე განა დაგზარდები? თქვენ ისეთი მეგობარი სართ ჩემ-
თვის, ისეთი სასარგებლო მეგობარი, რომ არც ერთი ნა-
თესავი, არც ერთი ვინმე დასხლოვებული, ცოლ-შეილიც-კი
ისე არ მოვარს, როგორც მე თქვენ მიევარსართ. წავიდეთ,
წავიდეთ, ჩემო ნუგემო. ია და ვარდი ჩვენ გზას! ასე გა-
გამდობთ თაფლით, რომ მთელი ერთი კვირა საჭმელი აღარ
მოგინდეთ, ეოველთვის გუნებაზე ბრძანდებოდეთ და ჩემ
მტრებსაც სამსჯავროში თავს-ლაფი დაასხათ.—წამობრძან-
დით, წამობრძანდით, მე ვიცი და თქვენ.

მელია ეშმაკურათ უდიმოდა დათვს და გულში-კი ამასა
ფიქრობდა: — «დაიცა, ბოჭვერავ, მე ასეთ თაფლის გაჭმევ,
რომ მთელი წელიწადი არ დაგავიწედეს! ჩვენ თომას კარ-
გი შინდის კომბალი აქვს, კიჩენებს სეირსო». გაცუნცულ-
და ცმიერი წინ და მუნბულით დათუნია გაჭმევა უკან. იგი
მაღალიან გახარებული იუო უცეცხლო თაფლის მოლოდინში.

— აი გლეხი თომას ეზოც. ამას ეტეობა მინავს კი-
დეც, მუშაობით დადღლილს, დაქანცულს. ჩვენი მგზავრები
პირდაპირ იმ ოთხს მიადგენ, სადაც მელიას თაფლი ეგუ-
ლებოდა. ბაიუშმა მალე ჭუჭრუტანასაც მიაგნო.

— რომ იცოდე, მეგობარო, რა მასინძლობას გავი-
წევ! — ალერსით წარმოთქვა მელიამ. — აქეთ მობძანდით,
აქეთ, ჩემო მვირფასო! აბა, თავი შეუავით ამ ნახვრეტში,

მალიან ღრმათ-კი იცოდე, თორებ თავლს კერ მისწვდები. მალიან-კი არ გაძლე, ჩემო მეგობარო, რომ ჩემი საქმე არ დაგემართოს.

— რას ბრძანებთ? — მიუგო ბოხვერამ. — განა, მე ვინა გვირნივართ? უკაცრავათ, მე ღორ-მუცელა არცა კუოფილ-ვარ და არც მინდა ვიუო. უკელაფერში ზომიერება საჭი-როა. თქვა სულელმა ეს და თავისი ბოხვერა თავი შეაძვრი-ნა ნახვრეტში და მერე ფეხებიც გადააბრძანა. მელიასაც ეს უნდოდა, გამოსწია იქვე დაგებულ ხაფანგს და დათუ-ნიას უკანა ფეხები ხაფანგში გააბა, ბოხვერა კედარც წინ მიდის და კედარც უკან. იწეო კედრება და კვნესა. მერე მეტის-მეტი ტკივილისაგან ღრიალიც დაიწეო. ამასობაში თომასაც გამოეღვიძა.

«არიქა, მიმკელეთ ქურდები», უკირდა თომა. წამოავ-ლო ცელს ხელი, გამოვარდა ეზოში და ქურდების მა-გივრათ დათვი-კი დაინახა.

«აბა ახლა გიჩვენებენ სეირს, მსუნავო დათუნიავ» იყიქ-რა მელიაშ.

— ნათლიმაშ, აი ნათლიმაშ! როგორ მოგწონს თავ-ლი? მიირთვით, მიირთვით, ჩემო კარგო, კასრი სულ მი-რამდის ჩაიტანეთ. არც გაწუნთ: თომას გაუგია შენი აქ მობრძანება და ერთი სველი ხელადა ღვინოც მოაქვს შენ ჰატივსაცემლათ. გაქეითვებენ რადა, გაქეითვებენ რო... რო...



სამონაცემა
სამონაცემა

მიირთვით გენაცვალე, მიირთვით. ასე დასცინოდა მანერული დავს გარეწარი მელია. გლეხმა მაშინვე უვირილი მორთო. «არიქათ, მიძველეთ, მესობლებო, დათვი შემოსულა ჩემ ეზოში. მოდით მოვკლათ ეს სავერანო. მელიამ-კი მოჰკურულა შინისკენ და თავისი «მეგობარი» დასტოვა გაჭირებაში.

სალხი მრავალი შეიკრიფა ეზოში—ზოგი ცულით, ზოგი გეტით, ზოგი ხანჯლით მიადგენ საცოდავს. დათუნია ღმუის, იწევს აქეთ,—იქით, მაგრამ თავი ვერ დაუსწევია. ისმის ჩოჩქოლი, ტეატ-ტეუპი, აურზაური. დედაჭაცები, ბიჭი, გოგო უკელანი გარეთ გამოცვივდენ და ერთმანეთს ეჯიბ-რებოდენ ბოხვერას ცემა-ტეუპაში.

დათვს გაჭირების ოფლი დასსა, აღარ იცოდა რა ექნა შიშისაგან. მოიკრიფა უკანასკნელი მალა და სიმხნე და როგორც იუო გამოიღო ნახვერეტიდან თავი, მოლათ გატვლე-ბილი და დასისხლიანებული. უქები-კი ისევ ხაფანგში ჭიონდა ჩაჭედილი. აქაც მიდგა, მოდგა, დაატანა თავს მალა, განთავისუფლა ფეხებიც, მაგრამ ვაი ამ განთავისუფლებასაც—ბრწყალები ხორციანათ იქ დარჩა. აღარ იცოდა საცოდავს რა ექნა ტკიფილებისაგან. გლეხებმა ხომ საქმე გაუქირეს—ერთი ქვებს ესროდა, მეორე კეტსა სცემდა და ცულმა და ხანჯალმა ხომ უფრო საგონებელში ჩააგდო საცოდავი. გაგიუდა, გაცოფდა ჩვენი დათვი—მიიწივ-მოიწია, მივარდა იქვე ახლო მდგომ დედაჭაცს შიგ უანურატოში და თავი ჩააუთვინა წელის გუბეში. უკელანი იმ დედაჭაცს მის-

ცვივდენ საშეელათ; დათვმა ამასობაში უშეელა სიახლისია ბარბაცით გამოვარდა გარეთ.

რის ვაი-ვაგლახით, დასუსტებული, ტკივილებისაგან მისწინილი მივიდა მდინარემდის და გადასწუვიტა თავის დახრჩობა. იგი მეტის-მეტათ შეურაცხეოფილათ გრძნობდა თავის თავს და სიკვდილი ირჩია—ამისთანა თავს-ლაფის დასხმას. ჩაწეა წეალში დასახრჩობათ. წეალმა ნელა-ნელა წაიღო. გლეხებმა შენიშნეს და გადასწუვიტეს უშეელათ მოკვლა ამ დათვისა და გამოუდგენ უკან. როგორც იუო ბოხევრა გავიდა მეორე საპირას და უშეელა თავს. გულში-კი სულ იმ გლეხების კრულვა-წევლაში იუო; ვერ მოენელებინა ის ოინები, რაც იმ წევლამა მელიამ დაატესა თავსე. კიდევ უნდოდა ეცოუხლა, რომ უკანასკნელათ ეჩახა ის შეჩვენებული და გადაეხადნა სამაგიერო ამ შეურაცხეოფისთვის. მაგრამ იმედი გაუქრა, სიკვდილს საათობით მოელოდა.

— «ოჟ, მელიავ, თუ არ მოგვყდი და ჩამოვარდი ხელში, მე შენ გიჩვენებ სეირს», ბუტბუტებდა დატანჯული დათვი.

დათვი ასე იტანჯებოდა და მელია-კი ამ დროს გამობრძანებულიერ სასახლიდან, მიცუნცულებულიერ ვიღაც გლეხის საქათმეში და ერთი მამალი გამოეთრია, მიმჯდორიერ იქვე ახლო, მდინარის პირს და შეეცეოდა ნანადირევს. თან აგონდებოდა თავისი ასალი ოინები დათვის შესახებ და გულიანათ იცინოდა.



— «დღეს მე ეს კარგი საქმე ჩავიდინე. შეჩვენებული, ზირველი ჩემი მტერი ეგ არის და მეცობრობასაც რომ მა-წევდა? არა მეონია, რომ იგი ცოცხალი გადაწენილიყოს. მე ახლა რიგასი მეშინია... მიუწულდა წელის დასალე-ვათ და შორიდან დაინახა საცოდავათ გალაზული და და-სუსტებული ბოხვერა, რომელსაც მელიამ დაცინვა დაუწეო:

— ამას ვისა ვხედავ? ჩემი ნათლია არა ბრძანდებით თქვენ! თომასთან ხომ ართფერი დაგრჩა? თუ გინდა დაუ-მასებ თომას? ჸა, არ გინდა? უქველათ შენ ბევრ თაფლს მიირთმევდი! ან ბევრი ხომ არ გადაგახდევინეს მასინძლებმა? რავწნა! ეს რა კარგათა ხართ მიუჟილი! ეს რა დაგმართნდა? ნუ თუ მაგრე ტებილი იუო უცეცხლო თაფლი? სად მითესლეთ თქვენი მშვენიერი სელთამანები? ეგ რაღა წითელი ჩაჩი ჩამოგიფარებიათ მაგ პატიოსან თავსე?

საცოდავ დათუნას ესმოდა ეს მწარე დაცინვა, ეს გულ-საკლავი სიტევები, მაგრამ ტკივილისა და სისუტისა გამო კრინტსაც არა სძრავდა. ბოხვერა ჩავარდა ისევ წეალში, რომ თვალიდან მოემორებინა დაწევლილი მელია და გა-ცურდა მეორე ნააირას. ბოხვერა გარდასწეიტა წასულიერ სასახლეში და მოეხსენებინა მეფისთვის უგელაფერი, რაც თავს გადახდა მელიას წეალობით.

ოთხი დღე-დამე მოუნდა სიარელს და რის ვაი-ვაგ-ლაბით და ტანჯვერ მიაღწია სასახლეშის და წარედია მეფეს.

მხეცთა მეფე ამის დანახვაზე შეკრთა.

— ნუ თუ ეს ძენა სარ, ჩემი შიკრიკი? ეს რა და-
მართნა.

ბოსვერას თვალში ცრემლი მოერია და ტირილი და-
იწუო.

— გაიძვერა, სახისლარშა მელიაშ მიღალატა და ამ
უოფაში ჩამაგდო!

— ის ავაზაკი დასჯილ იქნება უქველათ, განრისხე-
ბით წამოიუვირა ლომბა.— განა დათვის ასე გასულელება
და გაუჩატიოსნება შეიძლება? ჩემი შიკრიკის შეურაცხობის-
თვის ის უველავერში პასუხს აუცილებელი! სხალი ზედ შეასე გა-
მიტედეს, თუ მე ეს არ შევასრულო!

მისმა დიდებულებამ მოიწვია უკელანი, რომ მოქსმინათ
მეფის გადაწყვეტილება, ემმაკი მელიას ჩამოსრინბის შე-
სახებ.

უკელაძ ერთ-ხეთ გადასწუვიტა სელ-ახლათ დაებარები-
ნათ მელია სასახლეში.

შიკრიკათ ამორჩეულ იქმნა — მოხერხებაში და ვაჭა-
ცობაში განთქმული ჩვენი კატა.

ლომბა ეს უბრძანა:

— იმედი მაქს, რომ შენ გაამართლებ საბჭოს გადა-
წყვეტილებას. თუ მესამეთაც იმულებულ მუოფს შიკრიკის
გაგზავნას, იცოდეს რომ პასუხის გებაში მარტოებ ეგ-კი არა,
მოელი მისი მოდგმა იქნება განადგურებული. თუ ჭკა აქს,



იყი ახლავე გამოცხადდეს. ეს უკელათერი უისარი იმ გა-
რეწარს და შენც ფრთხილათ იქანი არაფერმი არ მოგა-
ტებოს.

— მე მაღაან ეჭვი მაქვს, რომ ჩემი წასვლით იქ რა-
მე გამეთდეს? მელაა მატეუარა, ემსაკი, ცბიერია და მე მას-
თან განა გავხდები რასმე?... მაგრამ აღსრულდეს ნება თქვე-
ნი, დიდებულო მეფე! სჯობდა-კი სხვა ვინმე გა-
გეგზავნათ შიკრიეთ იმ შეჩნებულთან, თორემ მე, რო-
გორც მოგეხსენებათ — ტანათ ჰატარა ვარ, უღონო და შე-
სედულობით ბევრს არას წარმოგადგენ, და მელია აინუნ-
შიაც არ ჩააგდებს ჩემს იქ მისვლას. დათვი ვერაფერს გახ-
და იძასთან და აბა მე რას გავხდები. ნუ გამირისხდებით
კი, მეფეო, ამ კადნიერი სიტუაციისთვის!

— «მენ უნდა წახუიდე», მორჩა და გათავდა, — უპასუ-
ხა ლომება. ჰეუა და მოხერხება ჸატარაზე არ ირის. ზოგი
დიდია ტანით, მაგრამ თავში-კი არა უერია-რა. ზოგი ჸა-
ტარაა, მაგრამ უთხადა, ჰევიანი და მოსერსებულია; შენ დი-
დი არა ხარ, მაგრამ ჰევის კოლოფი-კი ხარ.

— აღსრულდეს ნება შენი, თქვენი ბრძანება ჩემთვის
კანონია, უპასუხა კრუტუნამ და დაიწეო მხადება საგზაოთ.

•ლ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება)

კატის და არწივის ბოძოლა.



გენიერ ზაფხულის დიღას შოტლან-
დის სოფლის ერთ სახლის ქარ-
მიდამოს დიდხანს თავს დასტიალებ-
და არწივი და დავლას უთვალთვა-
ლებდა. მერე ერთბაშათ დაქმა მირს,
ერთ პატარა ლამაზ ჭრელ კატას ჩას-
ჭიდა კლანჭები და ისარივით გაჭერა
ჭაერში.

შიშით გონება დაკარგულმა კა-
ტამ, როდესაც იგრძნო თავისი სა-
შინელი მდვომარეობა, არწივს დაუწ-
ეო ეელმი ფხაჭნა და კბენა, თან
მავრათ თავის ბრჭყალებით ჩაჭიდა

თავის მტერს, რომ არ ჩამოვარდნილიერ.

ასელა თვითონ არწივს უნდოდა მოქმედებინა კატა თა-
ვიდან, მაგრამ ვერა გააწეო-რა, სანამ მიწაზე არ დაქმა.



მაშინ-კი ქატამ უძველა თავს, გავარდა განხე, უანჭაუფლეს ქმარება
ზე დასკუნდა, ერთ წამში გაიღოკა, გაისუფთოკა იარები



და მერე გაიქცა სახლში, თავის ქალბატონთან და კოუტუ-
ნით მიეალეონსა, თითქოს ექმნებოდა: განა დირსი არა ვარ
ჯილდოსი ამისთანა საქციელისთვის?



ქ ა რ ქ ვ ე ბ ა.

ლეგენდა



ერთხა უდაბნოს წინამძღვანშა ერთხელ ორი
ბერი გაგზავნა სოფლებში ბურის მოსა-
თხოვრათ. ბერებმა დაიარეს რამდენიმე
სოფელი და ბოლოს დამის გასათევათ
ესტუმრებ ერთ საწყალ კუკს. მასშინძელმა
სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, სა-
ცოდავს ერთი ქათმის მეტი არა გააჩნდა
რა, ის დაკლა და ცოლს ვახშმათ მო-
ამზადებინა.

გაშალეს სუფრა და მოიტანეს ქათამი. ქათმის დანახ-
ვაზე ერთხა ბერმა მოურიდებლათ მიმართა მასპინძელს:

— მასპინძელო! ტუშილათ დაგიკლავს ქათამი, ჩვენ
ხორცუს არა ჰქამთ!

მასპინძელი მალიან შეაწუხა ამისმა გაგონებამ, საწყალ-
მა არ იცოდა, რადა მიერთმია სტუმრებისთვის.

— ოჟ, ჩემო ანგელოზო სტუმრებო, წარმოთქვა სის



კანკალით ქათმის პატრონმა — თქვენი მობრძანების დირსი არა ვარ და მაშ რითო გცეთ პატივი, რომ სხვა არა მაბადია-რაო?

მეორე ბერძა რომ შენიშნა მასპინძლის შეწუხება შემდეგი სიტყვებით მიძართა მას:

— შვილო, ნუ სწუხარ, არა უძავს-რა, ქათმის ხორც-საცა ვჭამთო და დაიწუო ჭამა. პირველძა ბერძა მაინც არა ჭამა ხორცი, მაგრამ ქათმის ძვლები-კი მოაგროვა და კი-ბეში ჩაიწუო. მეორე დღეს ბერძება მასპინძელი დალოცეს, მადლი გადაუხადეს და გაუდგენ გზას.

როდესაც ბერძი მონასტერში დაბრუნდენ, პირველი ბერი მაშინვე წარსდგა წინამძღვრის წინაშე და მოახსენა:

— მამაო წინამძღვარო! ჩემდა ამსანავმა, იმის მაგივრ რომ ხალხი დაერიგებინა, თითონ დაარღვია მონასტრის წესი და ხორცი ჭამაო; ამით ხომ ღმერთსაც სცოდავს და მონასტერსაც სახელს უტეხავსო.

წინამძღვარი მალიან გააჯავრა ამ ამბავმა, დაიბარა ხორცის მჭამელი ბერი და სასტიქათ შერისხა:

— რათ დაარღვიე ბერული წესი, რათა ჭამე ხორციო?!

დამნაშავე ბერი წარსდგა წინამძღვრის წინ და მოახსენა:

— არა, მამაო წინამძღვარო, მე ქათამი-კი არა ქარქე-ტა ვჭამო.

მეორე ბერძა პირველის გასამტეუნებლათ გაიკრა ჯი-
ნეს ხელი, რომ ქათმის ძვლები ამოედო და დახეთ მის
გაოცებას! შენახული ძვლები ჯიბეში ქარქვეტათ გადაქცეუ-
ლიყო. წინამდგარი გაუწერა მაბეზდარ ბერს და ჰქითხა:

— რათ დასწავე ცილი შენ მმასაო?

შერცხვენილმა ბერძა დაიწეო ფიცი: — ჯიბეში ძვლები
ჩავიწევ და არ ვიცი ქარქვეტათ რამ გადაქციაო. წინამდგ-
არძა მეორეთ ჰქითხა ხორცის მჭამელს.

— შენი ღვთის გულისათვის მართალი თქვი, როგორ
იყო საქმეო?

ახლა-კი ბერძა დაწვრილებით მოახსენა უკელაფერი წი-
ნამდგარის:

— მამაო წინამდგარო, რადგან ჩვენ მასპინძელს ქათ-
მის მეტი სხვა არა ჸქონდა-რა და მალიან სწუნდა ჩვენი
გულისთვის, ამიტომ მის დასამშეიდებლათ ვებაშე ხორცი,
მართალია, შევცოდე უფალსაო.

წინამდგარი ერთ წამისაც არ დაფიქრებულა — საჩქაროთ
უბასუხა:

— დამბეზღებელი უფრო შემცოდეა, ვიდრე ქათმის მჭა-
მელი ბერიო, ხომ გასსოვთ წმიდა სახარების სიტევები:
«არა ჩამაყალი წაწუმედს კაცს, არამედ ამომაყალიო».

ქართველი ოსებში.

ფ ა ე ტ მ ნ ი.

(ოეიდიუსი)



გთელ ეთიოპიაში მზის ღმერთის ჰელი-
ოსის და კლიმენტის შეილი, ფაეტონი, სა-
ხელგანთქმულ ვაჭყაცათ ითვლებოდა.
ეთიოპიელები დიდი პატივისცემით ეპურო-
ბოდენ ახოვანი შეხედულობის ყმაწეილს.
ფაეტონი მუდავ ამაყობდა თავისი ღვთაებრიერ ჩამომავ-
ლობით. ერთხელ ყმაწეილი იმოდენათ გაკადნიერდა, რომ
ღმერთების მამათმთავრის ზევსის შეილის, ეპაფის, თანა-
სწორობაც-კი საჯაროთ გამოიცხადა. ეპაფს სიცილათაც-კი არ ყო-
ფაეტონის ამგეარი კადნიერება და ეჭვი შეიტანა ყმაწეილის ღვთაებ-
რიე ჩამომალობაზე. შეურაცხყოფილი ყმაწეილი დედასთან მიიჭრა.
— „საყვარელო დედავ!“ თვალებ ცრემლიანი ემუდარებოდა ფაეტონი
კლიმენტის: „მომეც რამ სარწმუნო საბუთი, რომ ჰელიოსი მამა-
ჩემია!“ — „გეფიცები გამჩენს“, სიყვარულის კილოთი ანუკე შებდა
კლიმენტის: „რომ შენ ჰელიოსის შეილი ხარ. უკეთუ არა
გჯერა ჩემი სიტუაცია, მამა შენის სასახლეები ახლოა ჩეენზე და თვი-
თონვე გამოჰკითხე ყველაფერი შენი ვინაობის შესახებო!“ ფაეტონი
მოეწონა დედის რჩევა და ოფი დაუყონებლივ გაეშურა აღმოსავ-
ლეთისკენ.

ჰელიოსის სასახლეები ამაყათ გადმოიყურებოდენ მაღალ მთის



წევრეალოდან. ოქროთი და ფერადის ქვებით შემცული მარმარილობა
სუეტები გარს ერტყენ სპილოს ძვლებით დახურულ სასახლეებს. მო-
ერცხლულ ალაყაფის-კარებზე ხელოვნურათ გამოქანდაკებული იყო
ცა, დედმიწა და თეალ-უწედენელი ოკეანე. წყლის ფერათ უფს-
კრულ ში მოჩანდეს ზღვისა და ოკეანეს ღმერთები, დედმიწის ზურგ-
ზე გაეშენებინათ ქალაქები და სოფლები, საღაც ხალხი ფეხად ირე-
ოდა. განაპირა ადგილები მთისა გრეხილებათ დასერილიყო, ხოლო
ირგვლივ პიტალო კლდეები არწივიერთ ამაყათ გადმოიყურებოდენ.
მთის კალთები უხვათ შემოსილიყო დაბურული ტყეებით, რომელ-
შიაც მხეცები ათასგვარათ ფუსტუსებდენ. მდინარეები მთის გრეხი-
ლებზე საამურათ იკლაკნებოდენ. მტრედისფერი ცა მოციმციმე ვარ-
სკელავებით მოჭედილიყო. ფაეტონი მოკრძალებით შეეიდა საახ-
ლეში. ჰელიოსი ღიდებული ტანთსაცმელით იჯ და ალმასებით შემ-
კულ ტანტზე. მარჯვნივ და მარცხნივ ღიდებულ მზის მფლობელს
გვერდს უმშევნებდენ კეკლუცი და მორცხვი გაზაფხული, ნაზი ზაფხუ-
ლი, ბარაქიანი შემოდგომა და სუსხიანი თეთრწევროვანი ზამთარი.

ფაეტონი გაკვირვებით შეჰკურებდა ძეირფასს სასახლეს და
გონს ვერ მოსულიყო, უველავერს ცხადათ თუ სიზმრათ ხედავდა.
ჰელიოსმა ლმობიერათ მოიხმო ფაეტონი და ჰკითხა: „შვილო, რას
დაეძებ მამის სასახლეში?“ — „ბრწინეალეო მამავ!“ გახარებული კი-
ლოთი უპასუხა ფაეტონმა: „ნებას მაძლევ შენის შეიღობის სახელი
ვატარო! ქვეყნათ არ სჯერათ ჩემი ერთობა. მამავ, ნიშნათ ჩემი
ღვთაებრიეთ ჩამომაელობისა მომე რამ სარწმუნო საბუთი!“ — „საყვა-
რელო ფაეტონ!“ განაგრძო ჰელიოსმა: „მე შენ შეიღობაზე არა-
სოდეს უარს არ ვიტყვი. ამიტომ მთხოვე რაც გინდა და აღისრუ-
ლებ!“ — „გმადლობ, საყვარელო მამავ! მაშ, თუ ასეა, ერთი დღით
დამითმეთ მზის ფრთოსანი ეტლი!“ მოკრძალებით თხოვა ჰელიოსს
სიხარულით აღსავს ფაეტონმა.

ჰელიოსი ფაეტონის შეუსაბამო თხოვნამ მეტათ დაალონა. მზის
მფლობელი ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ ფაეტონი ფრთოსანი



ეტლით მოგზაურობას ვერ შესძლებდა. „ოლიმპის თვით მუკინობების ლიც-კი ვერ ჰქედავს ჩემი ეტლით მოგზაურობას“, მჭერმეტყველათ უმტკიცებდა მამა შეილს, მაგრამ ფაეტონი თავისას მაინც არ იშლიდა. ბრწყინვალე მზის მფლობელმა თავისი აღთქმა ვერ გასტეხა და იძულებული შეიქმნა ეტლი ერთი დღით დაეთმო შეილ ისათვეს. უკვე ალიონმა დაჲკრა. მეჯინიბებმა გამოიყენეს თავლიდან ცეცხლის მფრქვევი დარახტული ცხენები და შეაბეს მაღალ ბორბლებიან ოქროს ეტლში.— „შეილო!“ მწუხარებით გამოესალმა ჰელიოსი ფაეტონს: „ცხენებს მაგრათ დაუჭირე სადაცები, მძლავრათ ნუ გარეკავ, თორებ სამწუხაროთ გათავდება შენი მოგზაურობაო!“

ოთხი ალმასიერი დალებილი ცხენი საგზაოთ გამზადებულნი მოუთმენლათ ელვასაერთ თრთოდენ, მათი კიხეინი შორს, შორს გაისმოდა. ფაეტონი ერთი-კი განზე ღდნავ შეარხია მათრახი და ცხენებმა ჩიტივით მოიტაცეს ცის სივრცეისაკენ ჰელიოსის ფრთოსანი ეტლი. ცხენებმა ეტლის პირველ შექნებაზე იგრძნეს მეეტლეს გამოუცდელი ხელი და ჩვეულებრივ გზას ასცდენ. ყმაწვილი მეტათ შეშინდა. მიშმა უფრო აიტანა, როცა მან ცის სივრციდან დედა-მიწის სიშორეს ჩამოხედა. ფაეტონს მუხლები აუცახცახდა, ძარღვები მჭლავებში მოუღუნდენ, თვალებში სინათლე მთლათ გამოელია. გააფთრებული ცხენები ერთიანათ დაგიჟდენ და უგზო-უკელით მიაქროლებდენ ეტლს. მზის ფრთოსანი ეტლი ხან ცის სივრცეში დატრიალებდა, ხან მიწის მახლობლათ ჩამოეშეებოდა. ნაეტლარი გზა ერთიანათ იბუგებოდა. ღრუბელს ცეცხლის ალი ასდოდა, მთის მწვერვალონი, ქალაქები, სოფლები, მინდორი და ტყეები ცეცხლის მორევში ცურავდენ. იღუპებოდა უველავერი, სულიერი და უსულო. მდინარეებისა და ტბის ღმერთები შესაჩარლათ ქვითინებდენ. წყალი მეტის სიცხისაგან კალაპოტებში შრებოდა. ნილოსი ადიდებულ წყლის ზეირთებს შორეულ ქვეყნებისაკენ ტყორცნიდა, მაგრამ შეუბრალებელი სიცხე კვალ-და-კვალ მისდევდა. თევზები წყლის სილრმეს ეტანებოდენ, მაკრამ აქაც მყულრო თავშესაფარს ვერ შო-

ულობდენ, მიწა დასკვდა და დაიღარა. ერთი წამიც და მთელი დაშიწა ცეცხლისაგან უნდა დაფერფლილიყო.

ქვეყნის გადასარჩენათ, ღმერთების მამათმთავარმა ზექსმა ჭერა-ქუხილი მოუვლინა ფაეტონის ეტლს და ერთიანათ დამსხერია. ქვეყნიერება დალუპეისაგან გადარჩა. ფაეტონის უსულო გვამი სამ-შობლოს მოშორებით იპოვეს და იქვე დაასაფლავეს.

ჰელიოსი შეილის სიკედილმა მეტათ შეაწუხა, იგი მთელი დღე მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა. ამ ცრემლებისაგან მზე დაბნელდა და იმ დღეს დედამიწას არ ანათებდა. საბრალო დედამ დიდი ძებნის შემდეგ იპოვნა შეილის განმარტოებული საფლავი. მშობლის მწუ-სარებას საზღვარი არა ჰქონდა. მთელი ოთხი თვის განმავლობაში საცოდავი დედა და უტროოთ დაკარგული ყმაწვილის დები მუდამ დღე დასტიროდენ ფაეტონის საფლავს. გამელელ-გამომელელი ცოდეით იწოდენ და მშობლების მდუღარე ცრემლებს თავიანთ ცრემლებსაც უერთებდენ.

ერთხელ დები ძმის საფლავს მწუხარეთ დასტიროდენ. უეცრივ უფროსმა დამ ფაეტონსამ შესაზარლათ შეჰყვირა, მან იგრძნო, რომ ფეხები თანდათან უხევდებოდა. მეორე დას ლამპეციას ჰსურს მი-ეშველოს, დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძერის, ხის ფეხსევბი აკავებდენ, მესამე და შიშისაგან თავიდან თმას იგლეჯს, მაგრამ თმების მაგივრათ ხის ფოთლები ჩამოაქვეს. დები გაკეირევებით ერთი მეორეს შესცერიან და ხელვენ, რომ ისინი ხის ფოთლებით იმოსებიან. მთელი სხეული ხის ქერქით და მწვანე ფოთლებით შეემისათ, დარჩათ მარტო-მარტო ბავენი, რომელიც საყვარელ დღა „კლიმენას“ თავისაკენ ეძახოდენ. საბრალო დედა ხან ერთ ქალთან მიიჭრება, ხან მეორესთან, ხან ერთს მხურებალეთ ჰკოცნის, ხან მეორეს და მესამეს, ერთს აცლის ფოთლებს, მეორეს ხის ქერქს, მესამეს ტოტებს. ფოთლების და ტოტების ჩამონაგლეჯზე საბრალოებს სისხლის ნაკადულები ჩამოსჩერფთ. „ შემიბრალე, საყვარელო



დედა! ხის ფოთლებს და ტოტებს-კი არა ჰქონები, ჩემ საკუთხოს-განმარტებულის! მშენიდობით დედა!“ ერთ ხმათ შესძახეს სასიკედილოთ გამზადებულმა დებმა, და მყისვე მათი ბაგენი ხის ქერქით დაფარენ, სამუდამოთ დაღუმდენ, სამივე და ალვის ხეებათ გარდაიქცენ და იჩგლივ მწუხარეთ დაპყურებდენ ფაეტონის განმარტობულ საფლავს და განუწევეტლივ ცრემლების ნაკადულით რწყავდენ მდუმარე არე-მარეს.

ა. უუმისთავედი.



ლერი ჭერი

(ჭერისონის მოთხრობა)



XXIV

თავშესყიდვი.

ეღი ჭერი მთლათ დაიქანცა, ერთი
ნაბეჭის გადადგმაც აღმარ შეეძლო,
როდესაც ერთ დიდ, ფანჯრებ-გაჩა-
ლებულ სახლს მიადგა. სახლის გვერ-
დით პატარა და მაღალი, კუხტა ეკ-
ლესია ჩნდა.

ბავშვა აიხედა ზეეით, მიავყრო
ნათელ, მოციმციმე ვარსკვლავებს თავისი დიდი, დალონებული და
ნამტირალევი თვალები, მიიკრა გულზე ორივე გაყინული პატარა
ხელი და აკანკალებული ხმით წაილაპარაკა:

— დედა, მამა, სადა ხართ? წამიყვანეთ, წამიყვანეთ თქეენთან!
აქ მცირა, მშია, მეძინება...

მაგრამ ვარსკვლავებს არ ესმოდათ, არ ენალელებოდათ მისი
ველჩება და ისევ ისე მხიარულათ ციმციმობდენ მოკაშკაშებულ
ცაჭერა.



ბაეში ისევ დიდ სახლს მიუბრუნდა, რომელსაც ისრახუმეს ქვეშ, მარმარილოს ფიცარი ჰქონდა მიკრული და ზედ დაღი ასოებით რაღაც ეწერა. ბაეში მოეჭიდა გაყინული თითებით ფანჯრების წინ გაკეთებულ რკინის მოაჯირს, აიწია ზევით და წაიკითხა მარმარილოს ფიცარზე ოქროს ასოებით დაწერილი სიტყვები:

„ობლების თავშესაფარი“.

— ობლების? — გაიმეორა მან. — რას ნიშნავს ეს? მერე რა კარგია ამ სახლში ყოფნა, რა თბილა შეგნით, რა სინათლეა!

ჯენი ერთხანს დაფიქრდა, მერე ჩამოსწია ზარს, რომელიც ეკლესიის კარებთან ეკიდა, ისევ მოეჭიდა მოაჯირს და ისევ დიდ, ნათელ და მხიარულ ზალაში ყურება დაიწყო. რა მშენები სურათი იყო მის თვალ-წინ! შეუ ზალაში იდგა დიდი და მაღალი, ლამაზი ნაძვის ხე, მთლათ ათასფერი სანთლებით გაჩირალდნებული; არა-ოდეს არ ენახა პატარა ჯენს ამდენი ხილით და ტკბილეულობით, ოქროს და ვერცხლის კაკლებით, ათასგეარ ქალალდის ჯაჭვებით, ბრწყინვალე ბურთებით და ლამაზი ლიფლიფებით მორთული ხე... სხვა-და-სხვა სათამაშოებს რომ შეხედა, ხომ სულ თვალები აუჭრელდა... ხის ძირში, ხაესით და უვავილებით მორთულ სტოლზე ელაგა სათამაშო ცხენები და კატები, ჩიტები და კურდლები, დე-როტლები და ლეკვები, ბზრიალები, ბურთები, სხვა-და-სხვა ფერის ბაირალები... კამფეტები, ხილი, ვაშლები, მსხლები, ფორთოხლები, და უველაფერი ტკბილეულობა ისე მიმზიდეველათ გამოიყურებოდა ხაესით მორთულ დიდ სტოლიდან, რომ პატარა ლედი ჯენს თვალი ვეღარ მოეშორებინა მათთვის... ზალაში მჩირულათ დარბოდენ და თამაშიბდენ აუარებელი ბაეშები, რომლებიც აღტაცებით შეჰურებდენ ლამაზ და კაპწია, ტურფათ მორთულ ნაძვის ხეს.

ლედი ჯენი მავრათ მოჭიდებოდა რკინის მოაჯირს სიცი-ვისაგან გაშეშებული ხელებით და სულ უყურებდა, უყურებდა ლამაზ ხეს, სათამაშოებს, ტკბილეულობას, ბაეშების მხიარულებას...

უკუცრათ სახლის კარი გაიღო და კარში გამოეიდა შუახნის ქალი, რომელმაც ზარის დარეკა გაიგონა; მოაჯირზე მიკრული ჯენი რომ დაინახა, მან მაშინვე აიყვანა ხელში თითქმის მოლათ გაყინული ბავში და საჩქაროთ შეარბენინა სახლში.



— ჩემო პატარა, ჩემო კარგო, საიდან გაწნდი აქ? — მოფერებით შეეკითხა ის ბავშს. — ისე ცივა... შენ-კი თითქმის ტიტველი ხარ! რატომ შენ სახლში არ მიდიხარ?

ქალის ალერსიანი ხმა ციურ მუსიკასაეით ჩაესმა პატარა, სიცივისაგან გაყინულ ბავშს ყურში... ის ამ წამს ისე გრძელობდა თავს, თითქო



დედა ეპოვნა და მის კალთაში მჯდარიყო... მაგრამ უკანასკნელი ჭირულება
ვები რომ გაიგონა, რატომ სახლში არ მიღიხარო. მთელი ტანით
შეკრთა და აცახცახდა.

— ოო, ნუ გამისტუმრებთ სახლში! — გამოუთქმელი ტანჯვით
წამოიძახა მან.— ნუ გამზარენით დეიდა პოლინასთან! მე იმისი მე-
შინია... დღეს, გამლახა... სილა გამარტყა... და მე გამოვიქეცი...

— სად დგას შენი დეიდა პოლინა? — ჰკითხა ქალმა, რომე-
ლიც თავშესაფარის ზედამხედველი იყო. — არ იცი? — და ქალმა სიყვა-
რულით ჩაიკრა გულში ახლათ ნაპოვნი ბაეში, ისეთი ლამაზი და
მშეენიერი, მაგრამ ისე გამხდარი და გაყვითლებული...

— არ ვიცი... სადღაც შორს, შორს დგას აქედან.

— არც ქუჩის სახელი იცი?

— არა! რაღაც სახაველი ქუჩაა .. სულ ფაურებზე დადიან იქ!

— ვინ არის დეიდა შენი!

— დეიდა პოლინაა.

— მისი გვარი?

— გვარი არ ვიცი. მე მას ყოველთვის დეიდა პოლინას ვეძა-
ხდი. ნუ დამაბრუნებთ, ნუ, იმასთან! იმან გამომაგდო და მითხრა,
უფულოთ არ დაბრუნდეთ! მიბრძანა, იარე და იმღერეთ... მე სიმ-
ღერა არ შემეძლო... ისე ფულის თხოვნა-კი— არ მინდოდა...

აქ ბაეშმა ვეღარ მოითმინა და მწარეთ აქეითინდა. ბაეშის ტი-
რილმა მთლათ აუჩუყა გული ზედამხედველ ქალს, მარგარიტას, რო-
მელიც ისეთი კეთილი იყო, რომ ქალაქში მას „წმიდა მარგარიტას“
ეძახოდენ.

— სად არის შენი დედა-მამა? — სიყვარულით ჰკითხა მან ჯენს,
როცა ეს უკანასკნელი ცოტა დამშეიდდა.

— მამა ღმერთთან წავიდა, ცაში. დედაზე-კი დეიდა პოლინა
მეუბნებოდა, სხვაგან წავიდა და დაბრუნდებაო... მაგრამ მე მგონია,
ისიც მამასთან არის.

მარგარიტას თვალები უნებლივ ცრემლებით აევსო; მან კიდევ

უურო მაგრათ მიიკრა გულზე პატარა ობოლი და უკანა სამარტო წაიყვანა.

— აქ დარჩი, ჩემო პატარა! — უთხრა მან. — აქ ბევრი შენისთანა პატარა ბავშებია. — ყველას კარგათ უვლიან და ყველას ეფერებიან.

ლედი ჯენის გაყეითლებული სახე მთლათ აინთა სიხარულით.

— მაშ შეიძლება, რომ აქ დაერჩე? — აღტაცებით წამოიძახა მან. — და ნაძერს ხესთანაც წამიყვანთ?

— რასაკეირველია, ჩემო პატარა! და ხეალ დილას შენც მი-იღებ შენ წილ საჩუქრებს.

მარგარიტამ გააღლო დიდი ზალის კარები და მხიარულ ბავშების გრიფაში ახლათ ნაპოვნი პატარა, ლამაზი ბავშიც გაურია.

გაიარა რამდენიმე დღემ. ლედი ჯენის მოსაკითხაეთ არაეინ მოჯიღდა, ამიტომ თაეშესაფარის მმართველობამ გადაწყვიტა ის თაეშესაფარში დაეტოვებინა. მალე პატარა ჯენი ყველას გავრცებით შეუყვარდა, როგორც ზედამხედველს და მის მომხმარეებს, ისე პატარა ობლებსაც... განსაკუთრებით აღტაცებაში მოჰყავდა ყველა იმის ნაზ და წკრიალა ხმას, რომლითაც ის ისე მშეენიერათ მღე-როდა მელოდიურ ჰანგებს...

— უსათუოთ მუსაკა უნდა შევასწავლოთ! — ეუბნებოდა მარგა-რიტას მისი მომხმარე, აგნესა. — ამისი ხმა ერთ დროს ჩვენი ყვ-ლესის საუნჯეთ გახდება!

მართლაც, ჯენი აგნესას ჩააბარეს, რომელიც მუსიკის მასწავ-ლებელი იყო. როდესაც თაეშესაფარში ეინმე იმ ქალთაგანი მოეიდოდა, რომლებიც თაეშესაფარს შემწეობას აძლევდნ, აგ-ნესა ყოველთვის იძულებული იყო ჯენი დიდ ზალაში. გა-მოეყვანა, რაზეანაც ყველას უნდოდა მშეენიერი ბავშის ნახვა, მისი სიმღერის გაგონება, მასთან ლაპარაკი... მაგრამ არაეინ ისე არ ან-



ზებდა და არ ეფერებოდა პაეშს, ორგორც ქალბატონი ლანწერული მელიც ისე არ მოვიდოდა თაეშესაფარში, რომ ჯენისთვის რამე ძეირთასი საჩუქარი არ მოეტანა.

— მე მგონია,— ეუბნებოდა მარგარიტა აგნესას, — ქალბატონი ლანი უსათუოთ იშვილებს ჩენ პატარა ჯენს.

— ხანდახან ისეთ უცნაურ კითხეებს მაძლევს ხოლმე ბაეშის შესახებ! — მიუკო აგნესამ. — როცა ჯენი მღერის, ქალბატონი ლანი თვალს ვერ აშორებს და ისეთი ყურადღებით უსმენს, ისეთი დაკირცებით, რომ მეტი არ შეიძლება...

— ჴა, ეგ მეც შეენიშნე! — დაეთანხმა მარგარიტა. — მეც ყოველთვის მკითხავს ხოლმე ქალბატონი ლანი ყველაფერს ჯენის შესახებ... ეტყოპა, ძალიან უნდა გავება, საიდან ჩაერდა ჯენი იმ ვიღაც დეიღა პოლინას ხელში.

ხშირათ ჩაციებოდა მარგარიტა ლედი ჯენს, რომ გაეკო მისგან, სად ცხოვრობდა და როგორ ცხოვრობდა ბაეში თაეშესაფარში მისე-ლამდის, მაგრამ ჯენი არაფერს უამბობდა... მას ეშინოდა, ისევ დეიდა პოლინას ხელში არ ჩაერდეთ... და ბაეში ითმენდა, არაფერს ამბობდა, თუმცა ხშირათ, ძალიან ხშირათ უნდოდა გაეზიარებინა თეისი ახალი მასწავლებლებისათვის თაეისი ფიქრები, რომლებიც უწინდელივით სულ პეპსისკენ, ქალბატონ დანასაკენ, ექრანისკენ და პეშუს ოჯახობისკენ მიპქროდენ. მისი გული სულ იმათკენ იწევდა, იმათკენ მიისწრავოდა და უიპათოთ იტანჯებოდა, განსაკუთრებით სიმღერის გაკეთილების დროს, როცა ლედი ჯენი ოცნებით დიანას ლამაზ, უვაეილებიან ბალში გადადიოდა და თვალებს რომ დახუჭადა — ასე ეკონა, ისევ დანასთან ერთათ ემღერიო...

გადიოდა დღეები დღეებზე, თვეები თვეებზე... ჯენის მეგობრებმა-კი ჯერაც არ იცოდენ, რა მოუკიდა პატარა ლედის და სალგაჭერა ის იმ საშინელ, ჭექა-ჭუხილიან ლამეში...

ამ დროს განმაცლობაში დიანას დიდი გასაჭირი დაადგა. დედა მისი, გრაფ იტრევის ქვრივი, ძალიან ავათ გახდა, დიდხანს იტანჯა

და ბოლოს გადაიკვალა, ერთ ზაფხულის მხიარულ დღეს.. սი მომადგენ არის არის ტოკრატეა ოტრევების სასაფლაოზე დასაულავეს.

ამნაირათ ჩაზი, აზყი, მაგრამ წყნარი დიანა, უკანასკნელი წარმომადგენელი ოტრევების დიდი გვარის, სულ მარტო მარტო, ობლათ დარჩა ქეყუანაზე, თავის პატარა სახლში, თავის ლამაზ ბაღში, თავის ყვავილებთან, ხეებთან და ჩიტებთან ერთათ... დიანამ საშინლათ მოიწყინა.

— ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერება იქნებოდა, ახლა რომ ჩემთან პატარა ჯენი მყავდეს! — ხშირათ ამოოხერით, მწუხარეთ წაილაპარაკებდა ხოლო ის.— რა ნუგეშათ მეყოლებოდა ჩემი საყვარელი, ჩემი ძეირფასი პატარა!

ოტრევეს ქერივის დამარხევის მეორე დღეს, როდესაც პეშუს ოჯახობა დილით ერთ ოთახში იყო თაემოყრილი სასაუზმოთ — ტიბურციმ გაზეთები შემოიტანა. პეშუმ გახსნა ერთი მათგანი და დასედა თუ არა — მაშინევ გაკვირვებით შეჰვეირა.

— რა დაგემართა? — შეერთომით შეეკითხა ცოლი, რომელმაც, ქვერის წამოყვირებაზე, კინალამ საკავე გააგდო ხელიდან.

პასუხის შაგირათ პეშუმ ხმა-მალლა წაიკითხა ორი განცხადება, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი.

„გარდაიცვალა ოტრევეის ქერივი, ქალიშვილობაში ორქენუა“, და „დარიბების საავათმყოფოში დამარხეს პოლინა ქოჩენი, ქალიშვილობაში ბერჟებონი“.

XXV

დეირე მოდი.



დაკითხულმა განცხადებამ ძალიან ააღილეა პეშუ.

— მაშ ეოზენი ტექასში არ წასულა, ის აც ჩეალაქში ყოფილა... ეტყობა, ჩეენ გვემალებოდა! — წამ-და-უწუ-უმეორებდ, ის ცოლი.



— არა, ჩაც უნდა იყოს — ლელი ჯენი უნდა ეიპოვო, მაგრამ გადაწყვიტა მან და ლარიბების სააგათმყოფოში წავიდა... მაგრამ იმავე საღამოს დალონებული დაბრუნდა სახლში, რამაც ძალიან შეაწესა მთელი მისი ოჯახობა.

სააგათმყოფოში არც-კი იცოდენ, ეინ იყო ქოჩენი; პეშუს მხოლოთ გამოუცხადეს, ის ქალი სადღაც დანგრეულ სახლში იპოვეს, მშეირ-მწყურვალი, სიცივისაგან თითქმის გაყინული და აქ მოიყვანეს... ბაჟში მასთან არაეს უნახესო... არც თითონ უთქვაშს რამე მთელ იმ დროის განმავლობაში, რაც აქ იწეაო.

მაშინ პეშუ ქალაქის იმ ნაწილში წავიდა, სადაც უწინ ქოჩენი იდგა, მაგრამ არც იქ იცოდა რამე არც ერთმა მეზობელმა... ყველამ უთხრა, აქ როგორც გაზმოვიდა, მაშინვე ლოგინში ჩაწეო... ბაჟში არ გვინახაეს, სხვაც არაეინ დადიოდა აგათმყოფთანო. როცა ძალიან აეთ გახდა, შეეატყობინეთ მთაერობას და სააგათმყოფ ში წაიყვანესო. მეტი პეშუმ ვერაფერი გაიგო; ეტყობოდა, ქოზენს განგებ დაემალა ყველაფერი, რაც-კი ლელი ჯენს შეეხებოდა...

— როგორც წავედი — ისე მოვედი, ვერაფერი გავიგე! — დალონებით გამოუცხადა პეშუმ ცალს. — მაგრამ ამ საქმეს მაინც არ მოვეშები! რაც უფრო ვუფიქრდები ქოჩენის მოქმედებას — მით უფრო ვატყობ, რომ ბაჟში მისი ნათესავი არ იყო! უთუოთ ლელი ჯენიც ქალაქში უნდა იყოს, სხვაგან საუ გაგზაუნიდა! აი, რა მოვიგონე! — უცებ სიხარულით წამოიძახა მან. — ხეალ დილიდანეე და ვიწყებ და ქალაქში ყველა ობლების თავშესაფრებს შემოვიყელი... უთუოთ ერთსა და ერთ მათგანში ჩევენი ლელი ჯენიც იქნება!

— მეც წამოგვევები, პეშუ! — წამოიძახა დეიდა მოდიმ. — მარტო მაშინ დაემშეიღდები, როდესაც ჩემი თეალით ვნახავ ყველა თავ-შესაფარებს! მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ქოჩენს ის ბაჟში მოპარული ჰყავდა... ამ რატომ მაღავდა ისე, და რატომ გაპქრა ისე უეცრათ, მაგრა და კაც-კი მას მდიდარი, ლამაზი ქალი ეძებდა! ოო! აქ რაღაც სა უმღობა, რაღაც უცნაური ამბავია!

გაიარა რამდენიმე ღლემ. ერთხელ ჯენი სასწავლო უფლებების შეტყოფის იჯდა და გაკეთილს იმეორებდა; უეცრათ ოთახში შემოედა მარგარიტა და თან ორი სტუმარი შემოიყვანა. სტუმრები თავშესაფარ-ში ხშირი მოვლენა იყო, ამიტომ ბავშვს არც-კი მიუტოვებია თავისი წიგნი და ისევ ისე გულმოღვინეთ განაგრძობდა სწავლას.

— ეს უნცროსების განყოფილებაა! — ხმა მაღლა თქვა მარგარიტამ. — აი, დათვალიერეთ ყველა ბავშები... იცანით მათში თქვენი ლედი ჯენი!

ბავში შეკრთა და იქთკენ მიიხედა, სადაც მისი სახელი თქვეს... იმავე წამს ახლათ მოსული ქალის ჩევალი, წითური სახე მთლათ გაანათა ალექსიანმა ლიმილმა და მან აღტაცებით წამოიძახა: — ის არის ის, ის!

ამავე ღროს ოთახში ბავშის აღტაცებული ხმა გაისმა.

— დეიდა მოდი, ლმერთო, დეიდა მოდი! — უეცრათ წამოიძახა მან და ერთ წუთს გაჩნდა სტუმარი ქალის გვერდით, ჩამოეკიდა მას კისერზე.

დეიდა მოდიმ იმდენი ჰკუცნა ძლიერ ნაპოენ ბავშს, რომ კინალამ სულ მოახრინ ის... პეშუ კი, რომელიც სიხარულისაგან ტარილს ძლიერ იმაგრებდა, აღელევებით ატრიალებდა ხელში თავის ჭუდს და სიყვარულით მიჩერებოდა ცოლსაც და ბავშსაც.

— ჯენ, ძირს წამოგეყევი! — უთხრა მარგარიტა ბავშს.

ყველა ძირს ჩაეიდენ. ლედი ჯენი, რომელიც დეიდა მოდის კალთაში იჯდა, ყურადღებით ისმენდა ყველაფერს, რასაც ის და პეშუ მარგარიტას მის შესახებ უამბობდენ, თუმცა პეშური რამ არ ესმოდა; ლაპარაკობდენ რაღაც ბრილიანტებიან ოქროს საათზე, რომელზედაც ორი ასო ეწერა, ამისთანა ასოებზე ძვირფას საცეალზე, ფოჩენის გაქცევაზე, ტეხასზე... მარგარიტა ყველაფერს ყურადღებით ისმენდა... თავისი მხრით იმანაც უამბო პეშუს და მის ცოლს, როგორ იპოვნა ლედი ჯენი, როგორ ცდილობდა გაუგო მისგან მისი თავგადასავალი, მაკამ ვერაფრთ ვერ მიეღწია თავის მიზნისათვის...



— რატომ არაუერს ეუბნებოდი, გენაცვალე? — სიყვარულურზე
ჰკითხა დეიდა მოდიმ. ერთ წამს ბაეში შეჩერდა, მერე ნელი ხმით
უპასუხა:

— მეშინოდა!

— რისი, ჩემო ჰატარა ლედი? — შეეკითხა ჰეშუ.

— დეიდა პოლინამ ამიკრძალა ყველა ამაზე ლაპარაკი... — მიუ-
გო ბაეშმა და კრძალვით შეხედა მარგარიტას. — ახლა-კი შეიძლე-
ბა, რომ ვიღოაპარაკო?

— რასა კერძელია, შეიძლება! და შენ დაწერილებით უნდა
გვიამბო ყველაფერი, რაც კი შენ შეგეხება! — უთხრა მარგარიტამ.

— დეიდა პოლინამ ძალიან დამიშალა იმის თქმა, რომ „კეთი-
ლი ბაეშების“ ქუჩაზე ეცხოვრაბდით... ჩემი მეგობრების სსენებაც...
ჩენი ბინის დასახელებაც...

— საწყალი ბაეში! — მიუბრუნდა ჰეშუს მარგარიტა. — აქ უთუ-
ოთ რაღაც საიდუმლოა, ბაეშს რომ ასე უშლიდენ ყველაფრის ლა-
პარაკს... მაგრამ რამდენიმე დღე მოვითმინოთ, ჯერ ნუ დავიწყებთ
საქმის გამოძიებას... ლედი ჯენს ერთი ძალიან გავლენიანი მფარვე-
ლი ჰყავს, ქალბატონი ლანიე... ის ახლა ვაშინგტონშია. მის მოსე-
ლას მოვუკავოთ.

— რამდენისამე ხანს შემდეგ, უთუოთ, ერთი ობლით ნაკლები
გეყოლებათ! — უთხრა ბეშუმ. ჯენი კი ამ დროს გატაცებით ელაპა-
რაკებოდა დეიდა მოდის და დაულალავათ ჰკითხაედა ახალ-ახალ ამ-
ბებს თევის მეგობრებზე. ოტრევის ქვრივის სიკედილი რომ გაიგო
და დიანას ობლობა წარმოიდგინა, ბაეშმა ტირილი ეელარ შეიკავა.

— ვახსოვან თუ არა დიანას, მადელონს, ჰეპსის, ფერარს, თა-
გურას? — ჰკითხაედა ჯენი. — რა გამეხარდება, ღმერთო, რა გამეხარ-
დება ხელ-ახლავ რომ ენახავ ყველა იმათ!

თავისი მპრით ჯენმაც დაწერილებით უამბო დეიდა მოდის
საკუთარი თავისადასეალი იმ საშანელ ლამეს შემდეგ, როცა ქოშენ-
მა ისე ს.ჩქაროთ გამოაპარა.

დედა მოღი ცრემლებს ძლიერ იყავებდა, მის ამბავს უარის გამოხატა მენდა.

— მაგრამ ყველაფერზე საშინელი ის არის, რომ დეიდა პოლინამ ტონი გამიყიდა! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ჯენმა და მწარე ქვითინი დაიწყო. — დეიდა მოღი, წარმოიდგინეთ, რომ ტონი გამიყიდეს! ვერასოდეს, ვერასოდეს ველარ ვნახავ ჩემ საყვარელ ჩიტს!

— ნახავ, გენაცვალე, ნუ წუხარ, უთუოთ ნახავ! — ანუგეშებდა დეიდა მოღი. — აი, ახლა შენ გიპოვეთ... მერე შენ ჩიტსაც ვიპოვათ!

პეშუ და მისი ცოლი მხოლოთ მაშინ გამოეთხოვენ მარგარიტას და ლეილი ჯენს, როცა მარგარიტა დაპირდა, ხეალ მე თითონ მოეიყეან ბაეშს „კეთილი ბაეშების“ ქუჩაზეო.

დეიდა მოღის გულმა არ უქნა, რომ პირდაპირ სახლში წასულიყო და „კეთილი ბაეშების“ ქუჩაზე მცხოვრებლებითვის არ ეხარებინა პატარა ჯენის პოვნა. ამ ამბაემა საერთო სიხარული, საერთო აღტაცება გამოიწვია! ყველაზე უფრო დიანა აღელედა... მას დიდ ხანს არ დაძინებია იმ სალამის, დიდხანს იჯდა ის ყვავილებით შემკულ ავეანზე და ოცნებობდა ხეალინდელ დღეზე, ლედი ჯენის ნახეაზე...

როდესაც მეორე დილას მარიგარიტას ეტლი მადელონის სახლის წინ გაჩერდა და იქიდან მხიარულათ ჯენი გადმოხტა — პეპსი მეტი სიხარულით აქვითინდა. ჯენი შერდულიერი შეეარდა ოთახში და კისერზე ჩამოეკიდა თავის მევაბარს.

— ისევ ის არის, ისევ ის! — იმეორებდა პეპსი, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდეც ტიროდა და კიდეც იცინოდა. — ისევ ის მშევნერი ლურჯი თვალები, ისევ ის სხვარელი სახე! მხოლოთ თუ გაქვს სხეანაირათ! გაშეებული უფრო გშევნდა! და არც ეს ტანისამოსი გიხდება!

არც დიანას მოეწონა ჯენის ტანისამოსი... პირველ წამს მას არაფერი შეუნიშნავს და აღტაცებით ჩაიკრა გულში თავისი პატარა



ჯენი, მერე-კი, როცა ჩაუკეირდა, ვერ მოითმინა და მარტინი მარტინი უბრუნდა..

— ნუ თუ ლელი ჯენს სულ ეს ტანისამოსი ეცმება? — ჰერთხა მან.

— სანამდის ჩეენ თავშესაფარშია — სულ! — ღიმილით მიუგო მარგარიტამ. — მაგრამ მე მგონია, რომ ეს დიღხანს არ გაგრძელდება... და ლელი ჯენი ჩეენ მალე მოგვცილდება.

ამას შემდევ დიანა და მარგარიტა დიდხანს ლაპარაკობდენ ჯენის მომავალზე.

— თუ მაგის ნათესავები დათანხმდებიან — მე მოელ ჩემ სიცოცხ. ლეს მავ ბაეშს შეეწირავ! — ამბობდა დიანა. — კარგათ გამოეზრდი... მუსიკას მშენივრათ შევასწავლი... და ეს თითონ ჩემთვისაც დიდი ბეღნიერება იქნება!

— ჯერ ყველა ამაზე ლაპარაკი აზრეა! — მიუგო მარგარიტამ. — ჩემი ფიქრით ყველას ის აჯობებს, რომ ჯერ-ჯრერობით ბავში ჩეენ თავშესაფარში დარჩეს. ახლა სიამოვნებით დაგიტოვებთ აქ რამ-დენიმე დღით, მერე-კი მე თითონ მოვიყითხავ და ისევ ჩეენთან წავიყვან.

პირეელ სალამოსეე, რომელიც ჯენმა დიანასთან გაატარა, ისინი ორივე ერთათ დიდ ხანს იჯდენ ყვავილებით მორთულ ლამაზ აიგანზე. მშენიერი, წყნარი, მთვარიანი ღმევ იყო, ვარსკვლავები მხიარულათ კაშკაშებდენ მოწმენდილ, ულრუბლო ცაზე.

— როგორ გვონიათ, ქალბატონო დიანა, თქვენი დედაც ღმერთთან წავიდა? — დაფაქრებით ჰერთხა დიანას პატარა ჯენმა.

— მე იმედი მაქვს, რომ ღმერთთან წავიდა, ჩემო პატარა! — შეკრთომით მიუგო დიანამ.

— მაში იქ ჩემ მამას და დედას ნახავს... და ჩემზე ყველაფერს უამბობს! — დაფაქრებით წაილაპარაკა ბაეშმა. — როგორ გვონიათ, ქალბატონო დიანა, — უეცრათ ისევ მიუბრუნდა ის თავის მეგობარს. — ძალიან იამებათ ჩემ დედას და მამას ჩემი ამბის გაგება?

პასუხის მაგიერათ, თვალ-ცრემლიანმა დიანამ სიყვარულით ჩატარა გულში პატარა ჯერი.

— ახლა მე ნამდეილათ ვიცი, რომ დედაც იქაა, მამასთან, ცაში! — ისევ დაფიქრებით განაგრძო ჯერმა. — ხედავთ ეგერ ორ დიდ, ბრჭყვალა ვარსკვლავეს? ისინი ყოველთვის ერთათ, ყოველთვის ერთი მეორის გვერდით არიან... ეს უთუოთ ჩემი დედის და ჩემი მამის ვარსკვლავებია. ის ვარსკვლავები ყოველთვის მე მიუურებენ. ვინ იცის, იქნება თქვენ დედასაც ჰყავს თავისი ვარსკვლავი?

დიანამ წყნარათ გაიღიმა და გულში ინატრა, რომ ბედს მას-თვის ერგუნებინა ბაეშის წინამძღოლ ვარსკვლავობა.

ამ დროს განმავლობაში-კი პეშუს დიდა მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული ნიუ-ორენჯის ერთ ოქროს ნიერების მემაღაზიესთან, რომლის დახმარებითაც ის იკვლევდა, ვისთან იყო ამ ხუთი წლის წინეთ შეკვეთილი ბრილიანტების კუნწულით შემკული პატარა ოქროს საათი, რომელზედაც ორი ასო ეწერა: ჯ. და. ჩ.

ელ. წერეთელი.

(შედეგი იქნება)



პ რ ა ვ ი.

(კრისტოფორის იგავ-არაგვებიდან).



ე გული თუ კი წმინდათ მაქვს,
 რას დაესდევ მითქმა-მოთქმასო?
 ვინც უნდა იქორ-იყბედოს,
 მე არც-კი გაუცემ მას ხმასო!“

—
 გულის სამაგრო სიტყვები
 ეს ეის არ გაუკონია?
 მავრამ ხან და ხან შესკუდება,
 ეისაც მართალი ჰკონია.

—
 ვინც ეუჩჩება ცხოვრების
 კანონს და სურვილ-ნებასა,
 ბევრჯელ უბრალო რამეზე
 გადაეყრება ვნებასა.

—
 ადგილი უნდა ყოლიფერს,
 თქმასა, თუ უთქმელობასა,
 სიცილსა, ტირილს, ხუმრობას,
 ჭამას და უჭმელობასა.

ჩვენც უნდა მივჰყეთ მის ღროზე
 ქვეყნის ზე ჩვეულებასა,
 თორემ ვინ ეძებს სიმართლეს?
 ვინ დასდევს ჩვენს უფლებასა?

საჭირო არის სიფრთხილე
 და მასთან გამოცდილება,
 თორემ ხან და ხან შეგვაცდენს
 მცირე, უმანკო, ცვლილება.

ავი და კარგი ამ ქვეყნათ
 ხან და ხან შემთხვევა-თია
 და ჩვენი იგავ-არაკიც
 ამისი მაგალითია:

კუნტრუშის გუნებაზე
 რომ დადგა შრიუყი კრავი,
 უადგილი ხუმრობას
 გადაატანა თავი!..

ითიქრა: ავხანაგებს,
 მოდი, შევაშინებო;
 მეც ვიცინებ და თანაც
 დიდებს გავაცინებო.

გაეხვია მგლის ტყავში
 დაშვეიდებულ გულითა
 და ფარებს მიაშურა
 მგელივით ძუნძულითა.



କାଲାଙ୍ଗଦିନ ତ୍ୟାଗି ମୋହିରୀଣ
ତେଜେବେଳେ କିମ୍ବା ମାତ୍ରା ମୁହଁଲାବୀ
କାଳ ମନ୍ଦରୀରେବା? ଶେଖରେତ
ମୁହଁରାଳୀ ଦା ସାମାଗ୍ରୀଲାବୀ?!

ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ର ଦା ପଦ୍ମରୀନ୍ଦ୍ର,
ଦାକ୍ଷିଣ୍ୟରୀନ୍ଦ୍ର-ମନ୍ଦିରୀନ୍ଦ୍ର କବିଲୀ!..
ମନୀଲୀନ୍ଦ୍ର କ୍ଷେତ୍ର ମାରିଦାତ
ଶୁଭାନ୍ତକୀ, ପରିଦେଶ ଶୈଥିଲୀ,

ଦା ନିମିତ୍ତତାନା ତକ୍ଷେନ ମତ୍ରୀନ୍ଦ୍ର,
ନୂପୁ ଧାରମାରିତ୍ୟଦିନରୀ!..
ନୀରା ମନ୍ତ୍ରୀମନ୍ତ୍ରୀନ୍ଦ୍ର ଏହି ପଦ୍ମରୀନ୍ଦ୍ର,
ଶୁଭାନ୍ତକୀ ନିମିତ୍ତଦିନରୀ.

ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ର ମାହାତ୍ମୀ ଶୁଭାନ୍ତକୀ
ନିମିତ୍ତତାନା ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରନାମ!..
ଶୁଭାନ୍ତକୀ ନିମିତ୍ତତାନା ଶୁଭରାଜୀ
ମାତ୍ର ଦା ନିମିତ୍ତତାନା ଶୁଭରାଜୀ?

ନିମିତ୍ତଦିନରୀ, ଶୁଭାନ୍ତକୀ ଶିଥିତ,
ଦା ଶୁଭାନ୍ତକୀ ଧାର୍ମିକରୀତିରୀ
ଦାଗାରିଦା ଦା ନିମିତ୍ତଦିନରୀ
ଶୁଭାନ୍ତକୀ ଗାମତ୍ୟଦିନରୀ!

ନିମିତ୍ତଦିନରୀ, ନିମିତ୍ତଦିନରୀ
ନିମିତ୍ତଦିନରୀ, ନିମିତ୍ତଦିନରୀ
ନିମିତ୍ତଦିନରୀ, ନିମିତ୍ତଦିନରୀ
ନିମିତ୍ତଦିନରୀ, ନିମିତ୍ତଦିନରୀ

მზა და მისი მნიშვნელობა დედა-მიწისათვის.



რ შეგიხედავს, ჩემო მკითხველო ზაფხულის წენარ ღამეში მოწმენდილი ცისათვის, რა სა-უკეთოოთ არის მოჭედილი და მოკრიალე-ბული ურაცხეი ვარსკვლავებით? ზოგი მათ-განი ძლიერათ აშუქებს, ზოგი სუსტათ ციმ-ციმებს, ზოგი კა ერთ წმის გამოაშუქებს და უცებ მიიმალება, თითქოს სრულებით ჩაქ-რაო, მაგრამ ამ დროს ისევ აციმციმდება და გამოაქრთობს თვის სუსტ სხივებს. თუ ჩა-უკერდები ვარსკვლავებ შორის ლურჯათ გამომზირალ ცას, შენიშნავ, რომ იქაც-კი მოჩანან ოდნავ პატარა ვარსკვლავები, რომ-ლებსაც დიდის დაკვირვების შემდეგ თუ შე-ამჩნევს ადამიანი. წარმოიდგინე, მკითხველო, შენი თავი პატარა ხანს ერთ-ერთ ვარსკვლავ-ზე და გადმოხედე იქიდან ჩვენ ქვეყნიერობას. იქიდანაც შენ თვალს წარმოუდგება ლურჯათ გადაჭიმული ცა, უზიცხეი ვარსკვლავებით მოჭედილი, მაგრამ იქითკენ, სადაც დედა-მიწა გეგულება, ტყუილა დაიწყებ ქვერას: დედა-მიწა იმ სიშორეზეა ვარსკვლავებიდან და მათ-



თან შედარებით იმდენათ პატარაა, რომ ვარსკვლავიდან შექმას კეტი დაინახავ. სამაგიეროთ შენ თვალს მოჰკრავ ერთ მოციმციმე ვარსკვლავს, რომელსაც დედა-მიწიდან ცაზე ვერა ხედავდი; ეს ვარსკვლავი უფრო პატარა იქნება ზოგიერთ სხვა ვარსკვლავებზე და არც მათსავით ძლიერი შუქი ექნება. ეს ვარსკვლავი, ჩემი მკითხველო, არის მზე; ყველა ის ვარსკვლავები, რომლებიც იმდენათ აღამაზე. ბენ წატებულის ღამეებს, ჩემი მზიდან იმდენათ დაშორებული არიან, რომ იქიდან მზეც მხოლოთ პატარა ვარსკვლავის ოდენა გამოჩნდება.

რატომ დედამიწიდანაც ვარსკვლავის ოდენა არა ჩანს მზეო, იყითხავ შენ; —იმიტომ რომ მზე დედამიწასთან უფრო ახლოს არის ვიდრე დანარჩენი ვარსკვლავები და ამ სიახლოებისა გამო უფრო დიდიც მოაჩანს. რომელიმე ბდლერიალა ვარსკვლავი რომ მოუახლოვდეს დედამიწას იმსიშორეზე, რა სიშორეზედაც მზე არის, მაშინ ეს ვარსკვლავი უფრო მეტი გამოჩნდება, ვიდრე მზე, მეტი სინათლე და მეტი სითბოც ექნება. ამგვარათ, ჩემი მკითხველო, ის მშვენიერი მზე, რომლის ამოსელასაც ასე შეეხარება ყოველი სულიერი და მცენარე დედამიწის ზურგზე სხვა ვარსკვლავებთან შედარებით წარმოადგენს ერთ უბრალო ვარსკვლავს, მაგრამ არც ერთ ვარსკვლავს არა აქვს ჩემი დედამიწისათვის იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც მზეს; მოსპეც მზე, ჩაქრეთ ის ერთბაშათ და მაშინ რამდენიმე კვირის განმაელობაში ყოველისფერი მოისპობა დედამიწაზე, — ადამიანი და ყველა ცხოველები საშინელს სიცივეში და შიმშილში დალევენ სულს, მცენარეულობა დაჭინება და გამება, მდინარენი, ტბები და ზღვა ძრამდე გაიყინებიან და ყინულის საფლავში დაიხოცებიან თევზები და ზღვის ყველა ცხოველები; სინათლე წყვდიადათ შეიცვლება, მთვარეც დაბნელდება სამუდამოთ, რაღანაც თავის შუქს ის მზისაგან სესხულობს და ამგვარათ დედამიწა გადიქცევა ბნელ და საშინელ სამარეთ.

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მზეს ყველა არსებისათვის,

რომლებიც-კი დედამიწაზე ცხოვრობენ. ამიტომ უძეველესი დროი-დანეე არა თუ ცდილობდენ მზის შესწავლას, ზოგიერთი ხალხი მას თაყვანსაც-კი სცემდა. ადამიანი დიდი ხანია ცდილობდა გავკო, თუ რისგან შედგებოდა მზე, რამ სიშორებზე იყო ის დედამიწიდან, რა იყო მისი სითბოსი და სინათლის მიზეზი, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოთ ჩვენ დროში გამოიკვლია მეცნიერებამ. ამიტომ ჩვენც გაეიცნოთ, თუ რას გვეუბნება მეცნიერება ამ ქვეყნიერების მანათობელის შესახებ.

შეუძლებელია, რომ ადამიანმა დიდხანს თვალი გაუსწოროს მზეს ზაფხულის დღეში; შეხედავთ თუ არა მზეს, პატარა ხანს შემ-დეგ მისი ცხოველი შუქი თვალსა გჭრისთ, თვალით ვეღარას არჩევთ, თვალები გეცრემლებათ და გეხუჭებათ. მაგრამ პირველი შეხედეთ, სანამდის შუქი თვალებს მოგჭრიდესთ, თქვენ კარგათ შეგიძლიათ გაარჩიოთ, რომ მზე წარმოადგენს თეთრ ბურთს, რომლის ზედა-პირზე თქვენ ვერაფერს ვერ ხედავთ. ასეთის შეხედეთ შენ, რა-საკვირველია, არ შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რამოდენა არის მზე, ან რა მანძილია იმასა და დედამიწას შუა. უწინდელ დროში იცო-დენ, რომ მზე ნამდეილათ გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენ გვეჩვე-ნება და უფრო შორს არის დედამიწაზე, ვიდრე მთვარე, მაგრამ რო-გორც ნამდეილი სიდიდე მზისა ისე მისი სიშორე გამოუკელეველი იქო. ჩვენს დროში ასტრონომიამ ერთიცა და მეორეც დანამდეილე-ბით გაიგო. ჩვენ ახლა ვიცით, რომ მზესა და დედამიწას შუა არის ას ორმოც-და-ათი მილიონი ვერსის მანძილი! რკინის გზა რომ გა-აკეთონ დედამიწიდან მზემდე და ისეთი სწრაფი მატარებელი მო-იგონონ, რომელიც საათში ას ორმოც-და-ათ ვერსს გაიულიდეს, ასეთი მატარებელი მზემდე მისევლას მოუნდება ერთ მილიონ საათს ანუ ას ორმოც წელიწადზე კიდევ მეტს! ჩვენი დედამიწა-კი მზესთან შედარებით ერთიცახე ბურთს წარმოადგენს! მეცნიერების გამოკე-ლევით მზე სამას ოც-და-ათი ათასჯერ მეტია დედამიწაზე. შავ შუ-შაში ან ბოთლის. ნატეხში თუ გახედავთ მზეს, დაინახავთ, რომ ზედ



შევი წერტილებია; ეს წერტილები მუდამ ერთ ალაგას-კი უამაზ არამედ მზის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირისაკენ მიღიან, მიუახლოედებიან თუ არა მეორე ნაპირს, მალე სრულებით იმალებიან და რამოდენიმე დღის შემდეგ ხელ-ახლათ ჩნდებიან; აქედან მტკიცდება, რომ მზეც ისე ტრიალებს თვის გარშემო, როგორც დედა-მიწა; შევი წერტილები თუ ხან იმალებიან, ხან ისევ ჩნდებიან, ეს იმიტომ ხდება, რომ ტრიალის დროს მზე ხან ერთ მხარეს მოგვაჭუებს ხოლმე ჩეენ, ხან მეორეს. თეის გარშემო შემოტრიალებას მზე ანდომებს ოც და ხუთ დღესა და ექვს საათს; ჩეენი დედამიწა-კი გარშემო შემოტრიალებას 24 საათს უნდება. დედამიწაც რომ მზე-სავით ოც-და-ხუთ დღესა და ექვს საათს ანდომებდეს თეის გარშემო შემოტრიალებას, მაშინ თორმეტი დღე და თხუთმეტი საათი სულ ნათელი გვექნებოდა, თორმეტი დღე და თხუთმეტი საათი სულ ღამე, ე. ი. მაშინ დღე თითქმის ახლანდელი ცამეტი დღის ოდენა იქნებოდა და ღამეც ახლანდელ ღამეზე ცამეტჯერ მეტი!

მზის იმ ზედაპირს, რომელსაც ჩეენა ვხედავთ ყოველ დღე, მეცნიერები უწოდებენ ფოტოსფერას. რას წარმოადგენს ეს ფოტოსფერა? ფოტოსფერა არის ნათელი ღრუბელი; მზეს აუდის გახურებული ორთქლი, ეს ორთქლი იყრის მზის გარშემო თავს და ჩეენც მხოლოთ ამ ორთქლის ღრუბლებსა ვხედავთ, თეითონ მზე-კი შიგნით არის მომწყერეული და წარმოადგენს ორთქლათ ქცეულსა და ერთმანერთში არეულ მრავალ სხვა და-სხვა ნიერებას, რომელთა სიმხურეალეც იზღენათ ძლიერია, რომ წარმოადგენაც-კი შეუძლებელია.

მზის ზედაპირის შესასწავლათ მეცნიერებაშ ბევრგვარი იარაღ-ბი გამოიყონა. ამ იარაღების შემწეობით ჩეენ ვიცით, რომ მზეზე არსებობს ბევრი ისეთი ნიერება, რომელიც ჩეენს დედამიწაზე-დაც მოიპოვება, მაგრამ დედამიწაზე თუ ბევრი ნიერება მაგარია, როგორც შეგალითათ რკინა და სხვ., ზოგი-კი თხელი, როგორც მა-გალითათ წყალი, ზოგი-კი ჰაერის მზგავსი, როგორც მაგალითათ

მჟავბალი, ნახშირბალი და სხვ., მზეზე ყველა ნიეთიერებას წაშეტანისა სიმხურეალისა გამო ორთქლათ არის ქცეული; ამ ორთქლის უმე-
ტესი ნაწილი ერთათ შეგროვილა და ეს წარმოადგენს მზეს, უმცი-
რესი ნაწილი-კი მზეს შეირდება, ადის სივრცეში და მზის გარშემო
იყრის თავს ღრუბელივით. ეს ღრუბელი ძალიან წააგაეს ჩვენი დე-
დედმიწის ღრუბელს. განსხვავება იმაშია, რომ დედამიწის ღრუბელი
წარმოადგენს ორთქლათ ქცეულ წყალს, სიცივე რომ მოხვდება, ის
ისევ წყლის წვეთებათ იქცევა და უკანვე უბრუნდება დედამიწას წეი-
მის სახით. მზის ღრუბელი-კი წარმოადგენს ორთქლათ ქცეულს
და გახურებულ ლითონსა და ბევრ სხვა-და-სხვა ნიეთიერებას. ჩვენი
დედამიწის ღრუბელმა თუ იცის მოძრაობა და ერთი ადგილიდან მე-
ორისაკენ გაქანება, მზის ღრუბელი ისეთი სისწრაფით მოძრაობს,
რომ წარმოადგენაც-კი არ შევიძლია მედა შენ, მკითხველო! სხვა-
და-სხვა მხრიდან გაექანებიან მზის გარშემო ეს გახურებული და გა-
ნათებული ღრუბლები, შეეხლებიან ერთმანერთს, აირევიან ერთი
მეორეში და ხან ერთ ადგილას აეარდება საშინელი ალი, ხან მეო-
რე ადგილას. ყოველივე ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ, როდესაც მზეს
უცებ თვალს ავავლებთ, მაგრამ სამაგიეროთ ადგილი დასანახავია
იმ იარაღებით, რომლებიც მზეს აღიდებენ, აახლოვებენ და ამვერათ
საშუალებას აძლევენ მეცნიერებს დაინახონ ის, რაც მზის ზედაპირ-
ზე ხდება.

თავში ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ მზეზე არის შავი წერტი-
ლები. ამ წერტილების კარგათ გარჩევა შესაძლებელია მხოლოთ
ყრთვებით იარალის – ტელესკოპის წყალობით. თავდაპირეელათ ეს
შავი წერტილები 1610 წელს შენიშნეს; მას აქეთ მეცნიერები სულ
ცდილობდენ, გაეგოთ, თუ რას წარმოადგენდენ მზეზე ეს შავი წერ-
ტილები. მზის ზედაპირზე ხშირათ ისეთივე გრიგალი ამოვარდება
ხოლმე, როგორიც ჩვენ დედმიწაზე, მაგრამ განსხვავება დიდია:
დედამიწაზე თუ ამოვარავდება მხოლოთ უხილავი ჰაერი, მზეზე ალი
და გახურებული ორთქლი აეარდება ხოლმე მაღლა, აგორდებიან



უშველებელ ტალღებათ, რომელთა სიმაღლე ათასი და ჰარის ჭრას გერსია. ასეთი ტალღების შუა ყოველთვის ჩეხება ისეთი ალაგი, სა-
ცა ალიცა და გახურებული ორთქლიც დაწყნარებული არიან, არა
ღელავენ და აი ამგვარი ალაგები შოჩანან ტელესკოპში შავ წერ-
ტალებათ.

ცის სიერცეში მზე წარმოადგენს იმ უმთავრეს წყაროს, რო-
მელიც უგზავნს ჩენ დედამიწას სითბოსა და სინათლეს.

ჩენ გაეიგეთ, რომ მზესთან შედარებით ჩენი დედამიწა ერთიცახე
რგვალ სხეულს წარმოადგენს; მზე-კი იმდენ სინათლესა და სითბოს იძ-
ლევა, რომ რამოდენიმე მილიონ იმხელა ქვეყნიერობას ეყოფოდა, რამ-
ხელაც ჩენი დედამიწაა. მზის სითბოცა და სინათლეც სიერცეში
იფანტება და აქედან მხოლოთ სულ მცირე ნაწილი მოუღის ჩენ
დედამიწას, მაგრამ ეს პატარა ნაწილიც საკმარისია, რომ ღამის
წყვდიაღი გაჰვანტოს, დედამიწას სინათლე მოჰვინოს და გაათბოს
მასზე სულ უკანასკნელი ფუმფლაც-კი! მაგრამ იყო დრო, როდე-
საც მზე არაეითარ სითბოსა და სინათლეს არ უგზავნიდა დედამიწას—
ეს დრო იყო ასტრონომების გამოკვლევით, 20—30 მილიონი
წლების წინეთ; მოვა აგრეთვე დრო, როდესაც მზე უკანასკნელათ
გამოაშუქებს და ჩაქრება და მას თან გაჰვევება ყოველგარი სიცოცხ-
ლე ჩენი დედამიწის ზურგზე; მზის საუკეთესო ჭირისუფალი ჩენი
დედამიწა იქნება; მზის სიერცილთან ერთათ ის მყისევ ბნელი სუ-
დარით შეიმოსება და სულ ცოტა ხნის განმავლობაში მოკვედება.

როგორ გამოიკვლიეს ეს მეცნიერებმა?

აი როგორ: დაკარიებებამ მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე,
რომ მზეს ნელა-ნელა ეკარგება სიცხოველე, მას აკლდება როგორც
სინათლე, აგრეთვე სითბოც. ყოველგვარი სხეული და ლითონი,
რაც მზეზე არსებობს ნამეტანი სიცხისა გამო ჰაერის მზგანსათ არის
გამზღვარი; ჩაზღანაც მზე თან-ზა-თან ცივდება, ნელა-ნელა ჰაერგვა-
რი მდგომარეობიდან ის მაგარ სახეს მიიღებს, ზოგიერთი სხეული
მასზე სითხეთ იქცევა და ამგვარატ მზე დაახლოებით იმგვარ სახეს

მიიღებს, როგორისაც დღეს ჩეენი დედამიწა არის. გამაგრებულმა შეს რასაკირველია აღარ ექნება ის შუქი და სითბო, რაც დღესა აქვს; ჩეენს დედამიწას ნელა-ნელა მოაკლდება სინათლეცა და სითბოც. გაზაფხულისა და ზაფხულის დღეები აღარ იქნებიან იმდენათ ნათელი, როგორც დღეს, ზამთარი სუსხიანი და გრძელი იქნება, ზაფხული მოკლე და ციცი; ამგვარი მდგომარეობა დედამიწაზე თან-და-თან გაძლიერდება და ბოლოს სრულდებით მოუსპობს მას მზე, როგორც სინათლის, ისე სითბოს გზაენას. მეცნიერების გამოკვლევით ეს მოხდება არა ადრე 5 მილიონი წლისა. მზეს სითბო და სინათლე თუმცა თანდათან ელევა, მაკრამ 5 მილიონი წლის განმავლობაში მაინც ეყოფა და ამიტომ 5 მილიონ წელიწადს კიდევ არაფერი უჭირს ჩეენ დედამიწას! ეს კი იმოდენა დრო არის, რომ წარმოდგენაც-კი ძალიან საძნელოა..

შემდეგ რაღა იქნება?

დედამიწაზე სიცოცხლე მოისპობა, მაკრამ ის მაინც უაზროთა და უმიზნოთ განაგრძობს თავპირ-ჩამობნელებული მზის გარშემო ტრიალს; გაციებული და გამაგრებული მზე, შესაძლებელია თეოთონ შეხედეს რომელსამე ვარსკვლავს, რომელიც მას მზის მავიერობას ვაუწევს. ეს ახალი მზე მოჰურენს სინათლეს ჩეენ ჩამქრალ მზეს, გაათბობს იმის გაციებულ ზედაპირს და შესაძლებელია მაშინ ჩეენ მზეზე გაღვივედეს და აღორძინდეს ახალი სიცოცხლე, ხელ-ახალი ბედნიერება და ხელ-ახალი უბედურება.

o. გომართელი.



ნიკოლოზ გასილის-ძე გოგოლი.

1809—1852 წ.



მ თეის 21 რუსეთი დღესასწაულობს ორმოც-და-ათი წლის
 შესრულებას თავის დიდებული მწერლის ნიკოლოზ გა-
 სილის-ძის გოგოლის გარდაცვალებიდან.

ნიკოლოზ გასილის-ძე გოგოლი, ანუ ნიკოშა, როგორც პა-
 ტარაობისას ეძახოდენ მას, დაიბადა 19 მარტს 1809 წელს მცირე

რუსეთში, პოლტავის გუბერნიის დაბა საროჩინცაში. მამა გმირი ძეები მემამულე აზნაური იყო და ხასიათით არატრიტ არ გაიჩიეოდა იმ ღროინდელ მებატონეებისაგან. დედა გოგოლისა ძალიან გულ-კეთილი და ლეთის მოყვარე ადაბიანი იყო, პატარა ნიკოშაც ჩაუნერგა გულში ლეთის სიყვარული და რწმენა. გოგოლი ჯერ სახლში სწავლობდა. ათი წლისა რომ გახდა — მიაბარეს პოლტავის გიმნაზიაში, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა: მალე გადაიყვანეს ნეეინის ახლათ დაარსებულ უმაღლეს გიმნაზიაში. დაბადებიდანვე ფუფუნებაში აღზრდილი, ცოტათი სუსტი, და თანაც ეშმაკი — რიგიანათ ვერ ასწრობდა სწავლას, ამიტომ აქხანავები და მასწავლებლები ზარმაცეს, მასხარას და დაუდევარს ეძახოდნენ. ნეეინის გიმნაზიაში მაშინ სწავლა რიგიანათ ვერ იყო დაყენებული. გიმნაზიიდან ნიკოშას ბევრი არაფერი გამოუტანია. სამაგიეროთ გიმნაზიის თავისუფალმა ცხოვრებამ და ამხანავებმა გააღვიძა პატარა გოგოლში ძალა, შეაყვარა თეატრი, წარმოდგენები და წიგნების კითხვა. ამავე ღროს გოგოლმა გამოსცა სასკოლო ხელნაწერი ეურნალი, რომელშიც შევრდები თანამშრომლობდენ. ეურნალს სახელათ ერქვა „ვარსკელავი“, ამნაირათ გიმნაზიაში შედგა მოსწავლეების წრე. ისინი მართავდნენ სასკოლო წარმოდგენებს. გოგოლი მხურვალე მონაწილეობას ლებულობდა და ხან დედაბრებს და ხან მოხუც კაცებს თამაშობდა.

ამნაირი იყო გოგოლის ცხოვრება ნეეინის გიმნაზიაშა. 1828 წელს მან დაამთავრა კურსი და წავიდა პეტერბურგში. იქ რამდენსამე ხანს ისტორიის მასწავლებლათ იყო. პატრიოტიულ ინსტიტუტში. ამ ხანებში გოგოლმა გაიცნო მაშინდელი პოეტები: პუშკინი და ჭუკოვსკი. ამ წელიწადშივე გოგოლმა გამოსცა თავისი პირველი მოთხრობები, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა პუშკინი. — აი წავიკითხე კიდეც — სწერდა პუშკინი — განცემით სწორეთ! აი ნამდევილი თავისუფალი, ძალ-დაუტანებელი ნიჭი! რა



მშენირებაა! კულოცავ საზოგადოებას შესანიშნავ წიგნის დამატებასთან.

გოგოლის მოთხრობებში მიიქცია მაშინდელი სხვა მწერლების ყურადღება და დაუახლოება იმათ. გოგოლი თავის მოთხრობებში ხატავს, სწერს მემამულეებს და ჩინოვნიკებს; უმოწყალოთ დასკინის მათ ნაკლულევანებას. ისე დასკინის, როგორც ილია ჭავჭავაძე — ლუარსაბ თათქარიძეს. წაგითხავთ თქენ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“? აბა მოიგონეთ ლუარსაბ თათქარიძე. ის ჭამა-სმაზე, მხოლოთ ჭამა-სმაზე ფიქრობს და ტახტზე გორგაში აღამ-ათენებს, კერზე ბუ-ზებსა თვლის, ჭორიკაშობს, მყითხავებს აკითხვინებს.

1835 წელს გოგოლმა დასწერა კომედია „რევიზორი“ ჩინოვ-ნიკების ცხოვრებიდან და 1836 წელს 19 აპრილს პირველათ დადგა სცენაზე. ამ კომედიაში მან საუცხოეო სინამდევილით დაახასიათა მაშინდელ მოხელეებთა დაობებული, გარევნილი ცხოვრება. ამ კომედიამ გააბრაზა გოგოლზე მაშინდელი მოხელეები და რა არ დასწავებს მას: ზოგმა სამშობლოს მოლალატე უწოდა, ზოგმა ცილის მწამებელი; ზოგიც ულმერთობაში ამტყუნებდა დაბადებიდანვე დეთის მოყვარე გოგოლს, რომელიც ხშირათ შესჩიადა თავის მეგობრებს: ჩემ კომედიას აძაგებენ და, როდესაც წარმოდგენაა, მაინც დიდ-ძალი ხალხი ესწრებათ.

საზოგადოების მითქმა-მოთქმაში დიდი გაელენა იქონია გოგოლის ჯანმრთელობაზე. მოქანცული და ნერებ აშლილი ის გაემგზავრა საზღვარ-გარეთ ევროპაში; მოიარა ევროპა და ბოლოს დაბინავდა იტალიის დედა ქალაქ რომში. იტალიის ადგილმდებარეობას და ბუნებას ისე შეეწყო, რომ მეორე „სამშობლო“ უწოდა.

1839 წელს დაბრუნდა ჩუსეთში, იშოვა ფული და ისევ ევროპაში გაემგზავრა. აი ამ ხანებში დასწერა მან თვისი შესანიშნავი თხზულება: „მყვარი სულება“. გოგოლი როგორც, ვიცით, პატარობიდანვე დიდი დეთის მოყვარე კაცი იყო და ეს რწმენა მას სიკვდილამდე შექმა. ბოლო ხანებში ის თავის თავს დიდ ცოდვილ კა-

ცათ თვლიდა, ამიტომ ცოდვების მოსანანებლათ იერუსალიმში წამყიდვი
ლა განიზრახა. წასელის წინეთ გოგოლმა გამოსცა წიგნი, რომელ-
შიაც წინანდელი თვისი ნაწერები უკარგისათ აღიარა. ამ წიგნში
ის უჩჩევს ყველას სუსველაფერს თავი დაანებეთ, შეუდექით სუ-
ლის საქმესო და ნურც ბატონ-ყმობის წინააღმდეგ იბრძეითო. ამან
ძალიან გააბრაზა იმისი მეგობრები. მისი თანამედროვე კრიტიკოსი
ვ. გ. ბელინ'კი სწერდა: — ჩენ გვესაჭიროება სამართალი, სწავლა,
განათლება და თქვენ-კი უფსკრულისაკენ ეძახით ხალხსო. „ამ ამ-
ბაემა ცოტათი გამოავხიზლა ნიჭიერი მწერალი, მაგრამ სრულებით
გამობრუნება იმისი შეუძლებელი გახდა. გოგოლი დაბრუნდა იერუ-
სალიშიდან და მოსკოვში დასახლდა. ის უმეტეს ნაწილათ ატარებდა
დროს მოგზაურობაში: ხან ოდესაში, ხან მალოროსიაში, თან-და-
თან სუსტდებოდა და სულით ავათმყოფს ემსგავსებოდა. იმან ამ ხან-
ში დასწვა ცეცხლში რამოდენიმე თავისი თხუზულება. კარგა ხნის
ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა მოსკოვში 21 თებერვალს 1852
წელს და დასაფლავებს დანიილოვის მონასტერში.

ა. მითამშვილი.





ვინ დაარსა ქალაქი თბილისი და რათ და-
ურქმევიათ „თბილისი?“*)

 რთხელ მეფე ვახტანგ გორგასლანი სატახტო ქა-
ლაქ მცხეთიდან ვაჟმგზავრა სანადირო. ჩაიარა
ნადირობით მტკვრის პირ-პირ და მივიდა იმ აღ-
გილს, სადაც დღეს გაშენებულია ჩვენი დედა ქალაქი. აქ
იმ დროს იუო დაბურული ტექ. დაუახლოვდა თუ არა ამ
ადგილს ამოვრინდა მეფის წინ ხოსობი. მეფემ გამოუყენა
ხოსობს ქორი. ხოსობი და ქორი ჩაეშვენ ზევში. მეფე თავის
შეღებლებით შეუდგენ იმათ მებნას და ბოლოს ნახეს ორი-
ვ ცხელ წეალმი გაფუჭქული. მეფეს მოეწონა ეს ბუნებით
ცხელი წეალი და ისურვა სატახტო ქალაქის გაშენება ამ
აღგილს.

ახლათ გაშენებულ ქალაქს დაარქება სახელი, თბილისი
იმ ცხელი წელის გამო, რომელიც პირველათ ნახა მეფემ.
ეს ამბავი მოხდა მეტეთვე საუკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ.

თბილისის რეალურ სასწ. მეორე კლ. მოწაფე
გასო მოვარეობიშვილი.

*) პასუხი „ჯეჯილის“ პირველ ნომერში მოთავსებულ საჩუქ-
რის მისაღებ კითხვისა.



საჩუქრის მისაღები კითხვა.

ვინ შემოიღო ქრისტიანობა და ან ვინ გაავრცელა იგი საქართველოში?

ვინც „ჯეჯილის“ ხელის მომწერ ბაჟშთაგან ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს წარმოადგენს, მას რედაქციისაგან საჩუქრათ გაეგზავნება ვაჭაუშაველას საყმაწვილო მოთხრობები ძეირფას ყდაში გაკეთებული, მისი წერილი-კი „ჯეჯილში“ დაიბეჭდება.

გ ა მ ი ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ეჭ. გლდიაშვილისაგან).

გამოცანას მოგახსენებ: კეკლუკათ ოც-და ათობენ, მუსაიფით ურთი ერთსა, ამაზედან დაბჭიობენ, მიკეირს, რატომშარ ეწყალეთ, ზოგსა ჰკელენ და ზოგს აშთობენ, და მამაცურათ ვინც არ ახსნით პირუტყვობასა გრითხრობენ.

(წარმოდგენილი გ. ბოჭკიასაგან).

ბაბუს ძინაეს, ბაბუს ღვიძაეს, ბაბუს ძირი მიწაშია.



დილაზე აღრე აღვება და დაიძახებს გმირულათ,
თავს ხურავს ქუდი წითელი, ტანზე აცეია მდიდრულათ,
ხმელსა სკეშს, ნედლი გამოაქეს მას თეისი სარჩია დლიურათ.

۱۶۸۹۰

(წარმოდგენილი ბისგანვე).

ნუ აჟყვები მაცდურსა, რა ლგან თვითვე მცდარია.

ଅମ୍ବାର ପିଲାନ୍ତାଳୀ.

(ରୀମନ୍‌ଡେବିଲ୍‌ଟ ଡା. ଲୁହାର୍‌ପାତ୍ରାଙ୍କାନ୍).

შოგეშორდა კაცი ქეთილი,
გულ-წიფელი თავაზიანი,
უსამართლობის მყიცხავი,
რიტორი, ენა წყლიანი.
იგი უმწეო, ჩაგრულთა
ესარჩელებოდა, ჭკეიანი,
ლექსებში ბეერსა სჯობია
იმისი „აღაშიანი“.

სიტყვების ამოცანა.

(წარმოდგენილი საო.-აზნ. სკ. მოწავე დ. ლექანოზიშვილისაც).

ქვემო მოყვანილ ციფრების მაგიერ, დასწერეთ ქართული ქორონიკონი;
10, 100, 1, 20, 30, 10, 40, 5, 500, 5.

4, 1, 6, 10, 9, 1, 700, 40, 1, 900, 5, 50, 5, 2, 5, 30, 10.

ଶାରୀରିକ

(ଫିରମନ୍‌ଦିଗ୍ବିନ୍‌ଦିଲ୍‌ ଏତ୍. ଶୋଭାଶ୍ଵିଭବସାହୀନ୍).

ଯରତି ନାହିଁଲେ ସିର୍ପ୍ୟୁଷିଳା
ଫାଲିଲା ଆରିଲା ସାବେଲା,
ମେହରେ ନାହିଁଲେ ଲାଲପ୍ୟୁଷି ଲାଲା,
ଗ୍ରେହିର୍ଯ୍ୟନ୍ତେବେ ମାର୍ଜନ୍‌ରେ କ୍ରେଲା,—
ମତ୍ତେଲୋ-କ୍ରୀ କାନ୍ଦେତିଲା ମଥାର୍ଜେ
ଆରିଲା ନାହିଁଦି ଲୋତ୍ତେଲା.

ଅମ୍ବାବାନୀ

(ଫିରମନ୍‌ଦିଗ୍ବିନ୍‌ଦିଲ୍‌ ଏ. ପାଞ୍ଚପଦିଲ-ମହେତ୍.)

ମାମାମ ମନୀରୁନା ସାବଲାଶି ହାଥଦ୍ୱେନିମ୍ବେ ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବାଲୀ ଲା ଗାନ୍ଧିନାହିଁଲା
ତାଙ୍ଗିଲେ କାମ ଶ୍ଵେତିଲେ. ଉତ୍ତରିଲେ ବାହେ ଲାଲୁଦେ ଫିଲୁଲାତ ନାହେବାରୀ ପ୍ରେଲା ଉତ୍ତର-
ତନ୍ତ୍ରବଳେବିଲା ଲା କିଲ୍ଲେ କିଲ୍ଲେ ଯରତି ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବାଲୀଲେ ନାହେବାରୀ; ଶୂତାତାନାଶ—ନା-
ଶ୍ଵେବାରୀ ଲାରିହିନିଲା ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବଳେବିଲା ଲା କିଲ୍ଲେ ନାହେବାରୀ ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବାଲୀ;
ଲା ଶୁନ୍ଦରିଲୋ-କ୍ରୀ ଲାରିହିନିଲା ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବଳେବିଲା ନାହେବାରୀ ଲା ଯରତି ଉତ୍ତର-
ତନ୍ତ୍ରବାଲୀଲେ ନାହେବାରୀ. ହାଥଦ୍ୱେନି ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବାଲୀ ମନୀରୁନା ମାମାମ ଲା ତିତିର
ବାହେମା ହାଥଦ୍ୱେନି ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବାଲୀ ମିଳିଲା, ତା ପ୍ରେଲା ମାତଗାନିମା ମତ୍ତେଲ-ମତ୍ତେ
ଲା ଉତ୍ତରତନ୍ତ୍ରବଳେବି ମିଳିଲା.

(ବ୍ରେନ୍‌ପ୍ର ଏମ ମନୀରୁନାର ଲାଲାଗ୍ରେବିତ ବ୍ୟକ୍ତିଗତିରେ, ମାତ୍ର କାହିଁକାହାତ ଗାନ୍ଧି-
ଶ୍ଵେବିଦା ଏ. ପାଞ୍ଚପଦିଲିଙ୍କିରେଲୀ ପ୍ରମତ୍ତି ମହେନ୍‌ଦ୍ରିହିଲେ ପ୍ରଦାତ.)

କବିତାଶିଳୀ

(ଫିରମନ୍‌ଦିଗ୍ବିନ୍‌ଦିଲ୍‌ ସିଲ୍‌ଲିଲିପିର୍ବିତା ତାଙ୍ଗାରିକ୍ଷାନ୍‌ଦାଶାହୀନ୍).

କବିତାଶିଳୀ ଏବଂ
ଗାନ୍ଧିନାମି



100,

8,



յետո յրուս
Ռուզեթա

25 Ծ-
Կըմթերո



Առաջնոր-
դո,



Լ ։ I գամուբանեցիսա.

Տարածանցօ: Կրթութեան գալութարո, լոռմո.
Մահացա: Վթուա նոնո.

Իցնուսօ: Կայքապի ստերա պատառ, հայանցո ցուլուս եմասառ,
կապո հռոմ ձառութեթա, նենտուս առլցես վեայառ.

Իցնուսօ և գամուբանեցօ աեւնես: Սպահալուս նոհմալուրո կյուլուս
մունիցլում քաղլոյ ծցրութեմ, վշտաւսուս հյալուր և սնիցլութելուս մոնի-
ցը ցուցուալ նահսում և տօւլուսուս սատացած-ածնալուրո կյուլուս մոնի-
ցը ց. այսուանմա.

Առօտմյուցյուն ամռանուս աեսնա և զօնաց գամուբանուտցուս չուլուց
յիշեթա մարդուս նոմերին օյնեթա ձածեցուլու, հազգան ծցը եցլուս
մոմիցը յուղեթմա ցընան մուլց օանցին նոմերու.



საექიპინგო ნაზატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თევში ერთხელ იმავე პროგრამით, როგო-
რათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ მიღებულია თუილისის საეპარქით და
კაციანის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სა-
მითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფი-
ლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ზელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ზელის მოწერა მიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგა-
დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д.
Груз. Двор., № 101), და თვით „ჯ ე ჯ ი-
ლი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5,
возлѣ Кадетского корпуса).

ფოსტის ადგენი: Всѣ Тифлисѣ, вѣ редакцію грузинскаго дѣтс-
каго журнала „Джеджили“.



06036320
0020000003